

ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
IVANE JAVAKHISHVILI TBILISI STATE UNIVERSITY

მიგრაციის კვლევის ცენტრი  
MIGRATION STUDY CENTER

# მიგრაცია MIGRATION

1



გამომცემლობა «უნივერსალი»  
თბილისი 2007 Tbilisi

კრებულში წარმოდგენილ სტატიებში საქართველოს და ევროპის მოსახლეობის მიგრაციის პრობლემებზე ქართველ და უცხოელ ავტორთა ბოლო წლების გამოკვლევების შედეგებია ასახული. ნაშრომები შესრულებულია როგორც თსუ მიგრაციის კვლევის ცენტრში, ისე საერთაშორისო ორგანიზაციების მხარდაჭერით განხორციელებულ სხვადასხვა პროექტებში. შეიცავს მდიდარ ანალიტიკურ მასალას ამჟამინდელ მიგრაციულ ვითარებაზე, ტერიტორიული მოძრაობის აღრიცხვის ორგანიზაციაზე, მიგრაციის ეფექტიანობასა და მიგრაციულ პოლიტიკაზე.

განკუთვნილია მიგრაციული პროცესებით დაინტერესებული მკითხველისათვის.

### **სარედაქციო კოლეგია:**

*პროფესორი მირიან ტუხაშვილი (რედაქტორი), პროფესორი ირინა მოლოდიკოვა (ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტი, ბუდაპეშტი), ასოცირებული პროფესორები: ნათია კვიციანი (მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია), თამაზ ზუბიაშვილი, ნათია ჭელიძე (პასუხისმგებელი მდივანი).*

**რეცენზენტები:** *პროფესორი ზურაბ დავითაშვილი,  
პროფესორი სიმონ გელაშვილი*

The articles of Georgian and foreign authors given in this book reflect the research results of migration problems of population in Georgia and Europe in recent years. The works which encompass rich analytical materials on current migration situation, registration organization of territorial movements, migration effectiveness and migration policy were implemented at the Center for Migration Studies, TSU and by various projects carried out with the support of international organizations.

The book is designed for readers interested in migration processes.

**Editorial board:**

*Professor Mirian Tukhashvili (Editor in chief), Professor Irina Molodikova (Central European University, Budapest), Associate Professor: Natia Kvitsiani (International Organization of Migration), Tamaz Zubiashvili, Natia Chelidze (Executive secretary).*

**Reviewers:** *Professor Zurab Davitashvili  
Professor Simon Gelashvili*

კრებული დაისტამბა ფრანგულენოვანი პრესის საერთაშორისო კავშირის წევრის, ბატონ დავით აბულაძის ხარჯით.

© თსუ მიგრაციის კვლევის ცენტრი, **2007**

გამომცემლობა «უნივერსალი», 2007

თბილისი, 0179, ი. ჭავჭავაძის გამზ. 19, T: 22 36 09, 8(99) 17 22 30  
E-mail: universal@internet.ge

**ISBN 978-99940-968-0-0**

## წინათქმა

სსრკ დაშლის შემდგომ პოსტსაბჭოთა ქვეყნებში, მათ შორის, საქართველოში მიგრაციული პროცესები არსებითად შეიცვალა როგორც რაოდენობრივად, ისე თვისებრივად. ერთიანი ეკონომიკური და პოლიტიკური ორგანიზმის რღვევამ, მრავალი ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფოს ჩამოყალიბების პროცესში გაჩენილმა ბუნებრივმა და ხელოვნურმა წინააღმდეგობებმა, იმპერიალისტური ძალების მიერ ინსპირირებულმა ეთნოპოლიტიკურმა კონფლიქტებმა, ეკონომიკის კრახმა და ცხოვრების დონის კატასტროფულმა დაცემამ, სახელმწიფოებს შორის ადამიანთა გადაადგილების ლიბერალიზაციამ მოსახლეობის მიგრაციის ახალი ტალღები წარმოშვა. დიდი მასშტაბი მიიღო იძულებითმა მიგრაციებმა, რასაც მეტად მძიმე შედეგი მოჰყვა.

არარაციონალური მიგრაცია გახდა პოსტსაბჭოთა საქართველოს უმწვავესი სოციალური პრობლემა, რომლის რეგულირება სახელმწიფოს წინაშე მდგარი პირველხარისხოვანი ამოცანაა. მსგავსი პრობლემების წინაშე ერთდროულად აღმოჩნდნენ ყოფილი სსრკ ტერიტორიაზე წარმოქმნილი სხვა დამოუკიდებელი სახელმწიფოებიც, რომლებთანაც საქართველოს ადრე მყარად ჩამოყალიბებული, სტაბილური მიგრაციული მიმოცვლა ჰქონდა. ამან კიდევ უფრო დაამძიმა ვითარება, გაართულა მოსახლეობის ტერიტორიული მოძრაობის მოწესრიგების კონცეპტუალური გააზრება.

სავსებით ბუნებრივია, რომ მრავალ უმწვავეს სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ პრობლემებში გახლართულმა სუსტმა ქვეყნებმა აქამდე ჯეროვნად ვერ მოახერხეს არსებითი ზემოქმედების მოხდენა იმ უმძიმესი შედეგების შესარბილებლად, რასაც მიგრაციული პროცესების უმართაობა ქმნის. ამავე დროს, ჩვენი და მეზობელი სახელმწიფოების თანდათანობითი პოლიტიკური განმტკიცებისა და ეკონომიკური რეაბილი-

ტაციის ტენდენციების გამლიერების კვალდაკვალ გადაუდებელი ხდება მიგრაციის უმართავი პროცესის მოწესრიგება. ამას კი არსებულ პრობლემათა სწორი გააზრება და ადეკვატური ქმედება სჭირდება, რაც აუცილებლად მოითხოვს მოსახლეობის სივრცობრივი მობილურობის მეცნიერულ შესწავლას. ამას ემსახურება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში შექმნილი მიგრაციის კვლევის ცენტრის საქმიანობა. ასეთი ცენტრები ფუნქციონირებს მსოფლიოს მრავალ ცნობილ უნივერსიტეტში და ამ ქვეყნებისათვის მიგრაციული პროცესების შესწავლის დარგში მთავარ საყრდენს წარმოადგენს.

მიუხედავად იმისა, რომ თსუ მიგრაციის კვლევის ცენტრი საზოგადოებრივ საწყისებზეა შექმნილი, არსებობის ორიოდე წლის განმავლობაში გამოიკა ხუთი მონოგრაფია და ნაშრომთა კრებული, ათეულობით სტატია ჩვენში და უცხოეთში; ჩატარდა ორი სამეცნიერო კონფერენცია, გაიმართა მრავალი დისკუსია. ცენტრის თანამშრომლებმა აქტიური მონაწილეობა მიიღეს 2006 წელს ევროპის მოსახლეობის კონფერენციაში, რომელიც გაიმართა ინგლისის ქალაქ ლივერპულში. აღსანიშნავია ისიც, რომ სხვადასხვა დარგის ბევრი ახალგაზრდა მკვლევარი დაინტერესდა და ჩაება მიგრაციული პროცესების შესწავლაში. ისინი თანამშრომლობენ საზღვარგარეთელ კოლეგებთან, გამოაქვეყნეს ერთობლივი შრომები. კვლევით საქმიანობაში ფართოდ მონაწილეობს სტუდენტობაც.

წინამდებარე კრებულის\_ «მიგრაცია» სამეცნიერო სტატიები ეხება საქართველოსა და ევროპის ქვეყნებში მიგრაციული პროცესების ამა თუ იმ მხარის ანალიზს. იგი როგორც მიგრაციის კვლევის ცენტრის, ისე სხვა დაწესებულებების მკვლევართა ნაშრომებს მოიცავს. აქ დაბეჭდილია ცნობილ უცხოელ მიგრაციოლოგთა სტატიებიც, რომლებიც ხალისით თანამშრომლობენ ცენტრთან. განზრახულია კრებულის ყოველწლიური გამოცემა.

ამასთან, დიდი იმედი გვაქვს, რომ მიგრაციის შესწავლისადმი მხარდაჭერა კიდევ უფრო გაძლიერდება, რითაც უფრო მყარი მეცნიერული საფუძველი შეექმნება საქართველოში სწორი მიგრაციული პოლიტიკის შემუშავებასა და გატარებას.

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო  
უნივერსიტეტის მიგრაციის კვლევის ცენტრის მეცნიერ-ხელ-  
მძღვანელი  
პროფესორი მირიან ტუხაშვილი*

## საქართველოს გარემიგრაციული პრობლემები

პოსტსაბჭოთა პერიოდის პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური კატაკლიზმები ადეკვატურად აისახა მიგრაციული პროცესების განვითარებაზე.

ბოლო წლების მეტნაკლები სტაბილიზაციის პირობებში მუდმივი მიგრაციის ინტენსიურობამ იკლო და სიმყარე შეიძინა. თუმცა ამჟამად მიმდინარე მიგრაცია არსებითად განსხვავდება საბჭოთა პერიოდის პროცესისაგან და ყალიბდება სწრაფად გარდაქმნადი ქვეყნისათვის დამახასიათებელ ტერიტორიულ მობილობად.

პირველი, რაც სტაციონარულ მიგრაციაში შეინიშნება, ესაა ემიგრაციის ინტენსიურობის შემცირება. 1990-იანი წლების პირველი ნახევრის პიკური პერიოდისათვის დამახასიათებელმა გადაადგილებათა რიცხვმა თანდათან იკლო იმის გამო, რომ საგრძნობლად შესუსტდა მიგრაციის ფაქტორთა მოქმედების ძალა და პოტენციურ მიგრანტთა რაოდენობა.

როგორც ცნობილია, 1989-2002წწ. აღწერათაშორის პერიოდში საქართველოდან საზღვარგარეთ მუდმივად გადასახლდა ერთი მლნ მიგრანტი; რუსეთში გადავიდა საცხოვრებლად მიგრანტთა 64,1%, საბერძნეთში – 16,2%, დასავლეთ ევროპაში – 5,6%, აშშ და კანადაში – 3,9%, ისრაელში – 1,7%. ამათგან ქართველია 29,5%.<sup>1</sup>

მკაცრი პასპორტიზაციის და მოქალაქეთა ტერიტორიული გადაადგილების «ჩაწერა\_ამოწერის» პერიოდში (1993წ.) 10 ათასი მიგრანტის საადრიცხოვ, ე.წ. «მოსახვეი ტალონის» სპეციალური პროგრამით დამუშავების შედეგებმა გვიჩვენა, რომ გარე მიგრაციის სალდოში ქართველთა წილი იმ დროისათვის ძლიერ მცირე – 8,4%-ია, შემდგომ სხვა ეროვნებათა ტერიტორიულად მობილური ნაწილის საქართველოდან გასვლის გამო

თანდათან იკლო მათმა წილმა, ხოლო ქართველებისა გაიზარდა. უნდა აღინიშნოს, რომ ამ პერიოდის უარყოფითი სალდოს სიდიდე 4-5-ჯერ აღემატება 1970-იან და 1980-იანი წლებისას. შემდეგ თანდათან იწყება ქართველთა ემიგრაციის პროცესიც.

მიუხედავად პოსტსაბჭოთა საქართველოს მოსახლეობის რიცხოვნობის მნიშვნელოვანი კლებისა, მთელ საქართველოში ქართველთა წილი, რომელიც რუსეთის იმპერიაში შესვლის (1801) შემდგომ საუკუნენახევრის განმავლობაში პერმანენტულად კლებულობდა, ნახტომისებურად აღდგა (ცხრილი 1).

დემოგრაფიული ექსპანსიის პოლიტიკა, რასაც რუსეთი ატარებდა ბოლო საუკუნეების განმავლობაში დაპყრობილ ტერიტორიაზე, მათ შორის ამიერკავკასიასა და ცენტრალურ აზიაში, აგრეთვე, სხვა რეგიონებში, კრახით დამთავრდა. რუსეთის დემოგრაფიული განვითარების რეგრესმა და დემოგრაფიული პოტენციალის შესუსტებამ არსებითი გავლენა მოახდინა ყოფილი სსრკ ქვეყნების ეთნოდემოგრაფიულ ბალანსზე, რამაც გარკვეულად ხელი შეუწყო სსრკ პოლიტიკურ დაშლასაც. აქ შეუძლებელია, არ გავიხსენოთ სსრკ დაშლამდე ათეულობით წლის წინ გამოთქმული ცნობილი მეცნიერის, ჯ. ბეზემერესის შეხედულება (რუსი მეცნიერებისაგან არაერთხელ გაკრიტიკებული), როცა იგი წინასწარ ჭვრეტს ეთნოდემოგრაფიული კრიზისის პოლიტიკურ კრიზისში მოსალოდნელ გადაზრდას სსრკ და იუგოსლავიაში, რაც «ემუქრება ორივე სახელმწიფოს მთლიანობას, მათ პოლიტიკურ სისტემას და, არაპირდაპირი სახით, მშვიდობასა და სტაბილურობას (არსებულ სტატუსქვოს) მათ რეგიონებსა და მთელ მსოფლიოში»<sup>1,1</sup>

სსრკ დაშლით არ დამთავრებულა რუსეთის დემოგრაფიული დეპრესიის გავლენა პოლიტიკაზე. წინა საუკუნეებში რუსეთის მოსახლეობის სწრაფი დემოგრაფიული მატება

---

<sup>1</sup> Журавлева Н.И. Антисоветизм буржуазной демографии. М., Мысль, 1987. с.86-87.



(ზოგჯერ მეტი, ვიდრე იმპერიის სხვა ხალხებისა), იწვევდა განაპირა არარუსული ეთნოტერიტორიების კოლონიზაციის წარმატებას. ამას ემატებოდა სსრკ განაპირა მხარეების სამრეწველო განვითარების დაჩქარების მაშინდელი პოლიტიკით აქ ახალ სამუშაო ადგილთა უფრო სწრაფი ზრდა, ვიდრე მკვიდრ, ადგილობრივ მოსახლეობას შეეძლო მისი ათვისება მრეწველური ტრადიციების არქონის გამო. ამიტაც იყო გამოწვეუ-

საქართველოს მოსახლეობის ეთნოსტრუქტურის ევოლუცია  
1800-2002წწ.

წილი ეროვნება	1800	1832	1865	1897	1926	1939	1959	1970	1979	1989	2002
ქართველი	79,4	75,9	73,8	69,4	66,8	61,4	64,3	66,8	68,8	70,1	81,5
აფხაზი	6,6	6,3	4,6	2,2	2,1	1,6	1,5	1,7	1,7	1,8	1,5
ოსი	3,7	3,6	3,6	4,2	4,2	4,2	3,5	3,2	3,2	3,0	1,7
რუსი	-	0,0	2,0	5,3	3,6	8,7	10,1	8,5	7,4	6,3	2,1
სომეხი	6,0	9,4	9,5	10,3	11,5	11,7	11,0	9,6	9,0	8,1	5,7
აზერბაიჯანელი	3,8	3,0	4,0	4,2	5,4	5,3	3,8	4,6	5,1	5,7	6,5
ებრაელი	3,3	0,5	0,6	0,9	1,1	1,2	1,3	1,1	0,6	0,5	0,1
ბერძენი	0,0	0,0	0,9	2,0	2,0	2,4	1,8	1,9	1,9	1,9	0,3
გერმანელი	-	-	0,3	0,4	0,4	0,3	-	-	-	-	-
უკრაინელი	-	-	-	-	0,5	1,3	1,3	1,1	0,9	1,0	0,2
დანარჩენი	-	-	0,7	-	2,4	1,9	1,4	1,4	1,4	1,6	0,4
ჯამი	100	100	100	100	100	100	100	100	100	100	100

\* საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, აფხაზეთისა და სამაჩაბლოს ჩათვლით.

ლი, რომ ცნობილ ინდუსტრიალიზაციის წლებში საქართველოს რუსი (და რუსულენოვანი) მოსახლეობის დიდი ტალღა მიაწყდა. ეს პერიოდი დაემთხვა რუსეთში მასობრივი შიმშილობის წლებს (1930-იანი წლები), რამაც კიდევ უფრო ინტენსიური გახადა რუსეთიდან სსრკ განაპირა რეგიონებში მოსახლეობის ჩასახლება. აღნიშნული პროცესები განვითარდა როგორც ბალტიის რესპუბლიკებში, ისე შუა აზიასა და ყაზახეთშიც. ამის გამო იყო, რომ 1959 წლის აღწერით, ყაზახი მოსახლეობა ალმატაში მთელი მოსახლეობის მხოლოდ 8,1%-ს შეადგენდა, ხოლო რუსები კი \_ 73,2%; ყირგიზები ფრუნზეში \_9,5% იყვნენ, რუსები კი \_ 71,8%.<sup>1</sup>

ამჟამად კი პროცესი რადიკალურად შეცვლილია. სსრკ დაშლის შემდეგ რუსეთმა ყოფილი მოკავშირე რესპუბლიკებიდან მიგრაციული სალდოს სახით მიიღო მილიონობით იმიგრანტი. ამას, მაინცდამაინც, არ გამოუწვევია სამუშაო ძალის სიჭარბე. პირიქით, როგორც ცნობილი მკვლევარი ა. ვიშნევსკი აღნიშნავს, «მისასალმებელიც იყო შრომითი რესურსების ნაკლებობის გამო».<sup>2</sup> მართლაც, ექსპერტთა შეფასებით, უახლოეს 10-15 წელიწადში რუსეთს დამატებით 7,1-9,1 მლნ იმიგრანტის შეყვანა დასჭირდება. ამრიგად, რადიკალურად შეიცვალა რუსეთის გეოსტრატეგიული პარადიგმა: «მიწების შეკრებიდან ხალხების შეკრებისაკენ».<sup>3</sup> ამის ხაზგასმა იმიტომ დაგვჭირდა, რომ ჩვენი მეზობელი დიდი სახელმწიფოს განვითარებაში აღნიშნული არსებითი ცვლილება საგრძნობ გავლენას მოახდენს საქართველო\_რუსეთის მოსახლეობის მიმოცვლაზე.

ამ ფონზე სრულიად გაუგებარი და ალოგიკურია ბოლო ხანს რუსეთის 5 მილიონიან არალეგალ მიგრანტთა შორის

---

<sup>1</sup> Козлов В.И. Национальности СССР. Москва, «Статистика», 1975. с.81.

<sup>2</sup> Вышневикий А. Г. Русский или прусский. Москва, «ГУВШЭ», 2005.

<sup>3</sup> Градировский С. Смена геостратегической парадигмы – от собирания земель к собиранию народов. В кн: Политика иммиграции и натурализации в России. Москва. 2005. с.221-225.

ქართველთა დეპორტაციის დემონსტრირება. ეს მაშინ, როცა «ამიერკავკასიის ხალხებს აქვთ რუსეთის ხალხებთან განსხვავებული ეთნოკულტურული დისტანცია. «რუსეთში ყველაზე ადვილად ასიმილირდებიან ქართული დიასპორის წარმომადგენლები, რომლებიც ყველაზე განათლებულნი და მცირერიცხოვანნი არიან ამიერკავკასიის სხვა ერებთან (ნაგულისხმევია აზერბაიჯანელები და სომხები\_ მ.ტ.) შედარებით».<sup>4</sup>

მიგრანტოფობია მეტნაკლებად ბევრ ქვეყანაშია აღნიშნული (საფრანგეთი, გერმანია, აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები), მაგრამ რუსეთში იგი უფრო მძაფრად გამოიხატა და ეთნოფობიად ჩამოყალიბდა. ამას თვით რუსი მეცნიერებიც აღნიშნავენ და იკვლევენ.<sup>5</sup> მათ გამოკვლევებში განსაკუთრებული ადგილი კავკასოფობიას უკავია, რომელიც პოლიტიკური წრეების, მედიისა და ხელისუფლების მცდელობითაც ბოლო ხანს «ქართველოფობიად» გარდაქმნილი.

სავარაუდოა, რომ ასეთი დამოკიდებულება საქართველო-რუსეთის მიგრაციული კავშირების სტრუქტურასა და მასშტაბებზე გარკვეულ ზეგავლენას მოახდენს, რაც აუცილებ-

---

<sup>4</sup> იქვე, გვ.178.

<sup>5</sup> Паин Э.А. О механизмах формирования этнофобий и мигрантофобии. В кн: Проблемы миграции и опыт ее регулирования в полиэтническом Кавказском регионе. Москва-Ставрополь, 2003, стр.185-196.; Ваяс К., Хаерлфер Х. Ксенофобия и положение мигрантов в странах Восточной и Центральной Европы // Социология – 1998, №1. стр.57-65.; Сикевич З. Этническая неприязнь в массовом сознании россиян. Дятлов В. Кавказцы в Иркутске: конфликтогенная диаспора. Витковская Г. Вынужденная миграция и мигрантофобия в России. В кн: Нетерпимость в России: старые и новые фобии. Под ред. Г. Витковской и А. Малашенко. Московский Центр Карнеги, Москва, 1999. -196с.; Бадыштова И.М. Осторожно: мигрантофобия// Независимый голос России. 1999, №6.; Дятлов Д., Дорохов Д., Палютина Е. «Кавказцы в российской провинции: криминальный эпизод как индикатор уровня межэтнической напряженности». // Вестник Евразии, 1995, №1, с.46-63.; Дробижева Л., Арютинян Ю., Кузнецов И. Выходцы из Закавказья в Москве. Demoscope Weekly, №271-272.

ლად მეცნიერული შესწავლისა და განსჯის საგანი უნდა გახდეს.

რეპატრიაციული პროცესების შედეგად, რომელიც ბოლო ხანს ინტენსიურად მიმდინარეობდა, რუსების რიცხვი საქართველოში 1989-2002წწ. აღწერათაშორის პერიოდში 3,4-ჯერ შემცირდა; ებრაელებისა და ბემნებისა, შესაბამისად, 6,5-ჯერ და 6,0-ჯერ. ეს პროცესი დააჩქარა საქართველოში ცხოვრების დონის კატასტროფულმა დაცემამ და ცხოვრების პირობების ბევრად უფრო გაუარესებამ, ვიდრე ეს რუსეთში მოხდა. რაც შეეხება საბერძნეთსა და ისრაელში (ან დასავლეთის სხვა განვითარებულ ქვეყნებში) ცხოვრების დონე ჩვენგან არსებითად განსხვავებულია და მიგრაციის ეკონომიკური ფაქტორის მოქმედება აქ, რეპატრიაციულ გარემოსთან ერთად, მეტად ძლიერი იყო. ეკონომიკური ფაქტორით უნდა აიხსნას საქართველოდან სომეხთა ინტენსიური ემიგრაცია არა სომხეთში, არამედ რუსეთსა და დასავლეთის ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყნებში, სადაც მათ ძლიერი დიასპორა ჰყავთ. 1989-2002წწ. სომეხთა რიცხოვნობა საქართველოში 1,6-ჯერ შემცირდა.

დიდი ინტენსიურობით აღმოცენდა და მიმდინარეობს ამჟამადაც საქართველოში შრომითი ემიგრაცია. ოფიციალური სტატისტიკა აღრიცხვის ნაკლოვანებათა გამო რეალურთან შედარებით შრომით ემიგრანტთა ნაკლებ რაოდენობას აფიქსირებს. თუმცა, არის გადაჭარბებული ვარაუდებიც. ჩვენი შეფასება ეყრდნობა სრულად აღრიცხულ მოსახლეობაში შრომით ემიგრანტთა წილს, რომელიც შერჩევით მოხდა თბილისსა და საქართველოს სხვადასხვა რეგიონში. იგი მთელ მოსახლეობაში 6-8%-ის ფარგლებში ვარირებს და სავარაუდოდ 250-350 ათას შრომით ემიგრანტს შორის მერყეობს. ცნობილი მეცნიერი ვ. მუკომელი საქართველოდან რუსეთში 117 ათას შრომით

ემიგრანტს ვარაუდობს.<sup>6</sup> სხვადასხვა გამოკვლევების მასალით კი, საქართველოს შრომითი ემიგრაციის მთელ ნაკადში რუსეთს 40-50% უკავია. ამიტომ ვფიქრობთ, რომ შრომით ემიგრანტთა რიცხოვნობის ჩვენგან ნავარაუდები დიაპაზონი რეალობას მოკლებული არ უნდა იყოს.

შრომით ემიგრანტთაგან საქართველოში წლიურად შემოდის არანაკლებ 500 მლნ აშშ დოლარი. ვ. მუკომელი ეყრდნობა რუსეთიდან საქართველოში ერთი საშუალოთვიური გზავნილის სიდიდეს, რომელიც ჩვენი გამოკვლევითაა მიღებული, (112 დოლარი<sup>7</sup>) და თვლის, რომ წლიურად რუსეთში მყოფი შრომითი მიგრანტებისგან საქართველოში 118 მლნ აშშ დოლარი იგზავნება, მაშინ როცა მისივე გამოთვლით, რუსეთში მყოფი შრომითი მიგრანტთაგან აზერბაიჯანში წლიურად 1,8 მლრდ აშშ დოლარი იგზავნება, ხოლო სომხეთში \_ 259 მლნ დოლარი. ამ ციფრებით ნათლად ჩანს ის გადაჭარბებული წარმოდგენა, რომელიც აქვთ რუსეთის პოლიტიკურ წრეებს საქართველოში შრომით ემიგრანტთა ფულადი გზავნილების თაობაზე. ამ გზავნილების მნიშვნელობას ჩვენ არ ვაკნინებთ, მაგრამ მას ამჟამად აღარ შეუძლია იმ როლის შესრულება, როგორც ეს ვ. მუკომელს აქვს წარმოდგენილი: «დროა გავიგოთ, რომ დსთ ქვეყნების დამოკიდებულება რუსეთზე პირდაპირპროპორციულია ამ ქვეყანაში ტრანსფერტების როლისა. ამით შეგვიძლია, პოლიტიკური დაწოლა მოვახდინოთ ამ ქვეყნებზე \_ ამასთან, სავსებით ცივილიზებულად».<sup>8</sup>

მეორე მხრივ კი, რუსეთის ფედერალური მიგრაციული სამსახურის უფროსი ვ. რამადანოვსკი დარწმუნებულია, რომ «თუკი, მაგალითად, მიგრანტებს აღარ დავუშვებთ თუნდაც

---

<sup>6</sup> Мукомель В. Экономика нелегальной миграции в России. Демоскопе Weekly, №207-208.

<sup>7</sup> Labour Migration from Georgia. IOM, 2003. p.50.

<sup>8</sup> Мукомель В. Экономика нелегальной миграции в России. Демоскопе Weekly, №207-208.

მარტო მოსკოვის რეგიონში, გაჩერდება საბინაო მშენებლობა დედაქალაქის ყველა ოკრუგში. შეფერხებით ივლიან ტროლეიბუსები და ავტობუსები, დაიწყება ქალაქის ეკონომიკის არითმია.»<sup>9</sup> მოსკოვის საიმიგრაციო სამსახურის უფროსის ფ. კარმოვეცის ინფორმაციით, 2006 წელს შრომითი მოწყობის მიზნით მოსკოვში ერთი მილიონი უცხოელი ჩამოვიდა, მათგან ლეგალურად მხოლოდ 15-17% თუ მუშაობს. ამ წელს არალეგალთა რიცხოვნობა 4-5%-ით გაიზარდა.<sup>10</sup> ამიტომ ვთვლით, რომ რუსეთიდან 2006 წლის განმავლობაში 100 ათასი უცხოელის, მათ შორის, 5 ათასი ქართველის დეპორტაცია არალეგალთა პრობლემას ვერ მოაგვარებს.

ვ. რამადანოვსკის აზრით, არალეგალურ მიგრაციას დაარეგულირებს შემოდებული ჯარიმა – ყოველი არალეგალის დასაქმებისათვის 800 ათასი მანეთი და საწარმოს საქმიანობის შეჩერება. მისივე თქმით, 2005 წელს რუსეთში 10 მლნ უცხოელი მომუშავიდან მხოლოდ 1150 ათასი (11,5%) იყო დასაქმებული ლეგალურად.

აშკარაა, რომ რუსეთს მწვავედ სჭირდება შრომითი იმიგრანტები, მეორე მხრივ, კი ცდილობს მათ მინიმუმამდე შემცირებას. გამოსავალი იმიგრაციის ლეგალიზაციის მექანიზმის გამარტივებაა, რისიც რუსეთში, რატომღაც, ძლიერ ეშინიათ, ზოგჯერ, არც თუ უსაფუძვლოდ. თუმცა მცირერიცხოვანი მობილური ქართველებისადმი ეთნოფობიის სტიმულირება სრულიად სხვა მიზნებზეა გათვლილი, რაც, ჩვენი აზრით, რუსეთის პოლიტიკაში სტრატეგიული შეცდომაა.

საყოველთაოდაა ცნობილი, რომ შრომითმა ემიგრაციამ ხელი შეუწყო დასავლეთის განვითარებული ქვეყნების შრომითი ბაზრების სეგმენტაციას პირველად და მეორად ბაზრე-

---

<sup>9</sup> Без мигрантов экономика Москвы не будет работать нормально. Демоскопе Weekly, №271-272.

<sup>10</sup> იქვე.

ბად. პირველად შრომით ბაზრებზე, სადაც მაღალი ანაზღაურება და კარგი შრომის პირობებია, განმტკიცებულია ადგილობრივი მუშახელი, ხოლო მეორად ბაზარზე შრომის მიძიება და მავნე პირობების მქონე არაპრესტიჟული სამუშაო ადგილები დაკომპლექტებულია უმთავრესად შრომითი იმიგრანტებით, ხშირად, არალეგალებით. მაგალითად, რუსეთში არალეგალი იმიგრანტების სამუშაო კვირა 66 საათს გრძელდება (ნორმაზე 1,6-ჯერ მეტი), როცა მათი საშუალოთვიური ხელფასი ჩამორჩება ლეგალთა საშუალო ხელფასს. აშკარადაა გამოკვეთილი არალეგალთა ექსპლოატაციის მაღალი ხარისხი, ხელისუფლება კი ამ ფაქტის მიმართ ხშირად წაყრუების პოლიტიკას ატარებს. ამის თაობაზე საინტერესოა ცნობილი პოლონელი მეცნიერის, მარეკ ოკოლსკის დაკვირვება: დასავლეთის ქვეყნების მთავრობები სავსებით ემხრობიან იმ წარმოებათა მასშტაბების გაფართოებას, რომლებიც, ძირითადად, იმიგრანტთა შრომას იყენებენ, მათ შორის არალეგალური იმიგრანტებისას. ფორმალურად კი ისეთ შთაბეჭდილებას ქმნიან, თითქოს ამცირებენ არა მარტო იმიგრანტთა ახალ-ახალ ნაკადებს, არამედ დიდი ხნის წინ იმიგრირებულებსაც.<sup>11</sup>

საბოლოოდ, რუსეთის იმიგრაციული პოლიტიკა, რომელსაც გაცილებით მეტ ამოცანებს უსახავს ხელისუფლება, ვიდრე, ჩვეულებრივ, მიგრაციული პოლიტიკით უნდა იყოს განსაზღვრული, ალბათ, გამოიწვევს რუსეთის შრომის ბაზრიდან ქართველთა გადანაწილებას დასავლეთის განვითარებული ქვეყნების შრომის ბაზრებზე. ეს პროცესი მიმდინარეობდა ადრეც, რაც გამოვლინდა ჩვენს გამოკვლევაშიც.<sup>12</sup> მიგრაციის ახალ ნაკადებში რუსეთის წილი სულ უფრო მცირდება. მაგალითად, აღნიშნული გამოკვლევით, თბილისიდან ემიგრირე-

---

<sup>11</sup> Окольский М. Наступающие цивилизации, уходящие цивилизации на закате века. В кн: Мир в зеркале международной миграции. Москва, Макс-пресс, 2003. с.193.

<sup>12</sup> Labor migration from Georgia. IOM, 2003.



ბულ შრომით მიგრანტებში იგი მხოლოდ 15%-ია. შრომით ემიგრანტებში სწრაფად იზრდება ინგლისური ენის მცოდნეთა წილი. მეორე მხრივ, დასავლეთის შრომის ბაზრებზე სამუშაო ძალის ფასი უფრო მაღალია, ვიდრე რუსეთში, რაც საქართველოდან ემიგრირებულებს გაცილებით მეტი თანხის გამოგზავნის საშუალებას აძლევს. შრომითი ემიგრირება ხდება ბევრად ეფექტიანი, ვიდრე ეს 1990-იან წლებში იყო.

ამჟამად საქართველოში შრომითი ემიგრაციის პოტენციალი საკმაოდ დიდია. ეს ჩანს ახალგაზრდობის მიგრაციული განწყობის გამოკვლევებიდანაც. სტუდენტი ახალგაზრდობის უმეტესობას განზრახული აქვს დასავლეთის ქვეყნებში განათლების გაღრმავება, რასაც ის, ძირითადად, სწავლისა და პროფესიული შრომის შეთავსებით გეგმავს<sup>13</sup>.

გამოვლინდა, რომ საზღვარგარეთ ემიგრირებულნი აქტიურად ცდილობენ ოჯახის სხვა წევრების და ახლობლების შრომით ემიგრაციასაც.

შრომით ემიგრანტთა საქართველოში დაბრუნების პირობების შესწავლისასაც დადასტურდა შრომითი ემიგრაციის სიმყარე და ახლო მომავალში მისი ინტენსიურობის შემცირების არარეალურობა. ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური ზრდის მიუხედავად, ჯერ კიდევ ვერ მოხერხდება შრომით ემიგრანტთა უკან დაბრუნების პირობების დაკმაყოფილება, მაღალანაზღაურებადი სამუშაოთი უზრუნველყოფა. ამიტომ ხელისუფლება, თავის მხრივ, უნდა შეეცადოს, მიაღწიოს განვითარებულ ქვეყნების მთავრობებთან შეთანხმებებს შრომითი ემიგრაციის ცივილური ფორმებისა და ლეგალიზაციის დონის გაზრდის თაობაზე.

---

<sup>13</sup> მიგრაციული პროცესები თანამედროვე გლობალიზებად მსოფლიოში. თსუ გამომცემლობა. თბ., 2005. გვ.55-76. ჭელიძე ნ. სტუდენტი ახალგაზრდობის პოტენციური შრომითი ემიგრაცია. თსუ შრომები, «ეკონომიკა», 2004, №3-4(362). გვ.37-43.

ამჟამად ჩვენი საზოგადოების ყურადღება გადატანილია ემიგრაციაზე მისი დიდი მასშტაბის გამო. იმიგრაციული ნაკადების მცირე ინტენსიურობიდან გამომდინარე, ჯერჯერობით, ვერ ვსაზღვრავთ იმ შედეგს, რაც შეიძლება შეუსწავლელმა იმიგრაციამ და არასწორმა იმიგრაციულმა პოლიტიკამ მოიტანოს. საქმე ისაა, რომ საქართველო თავისი მაღალი შრომითი პოტენციალის გამო, სავარაუდოდ, ეკონომიკური ზრდით, ერთ სულზე ერთობლივი პროდუქტის წარმოებითა და ცხოვრების დონით გაასწრებს ბევრ მეზობელ ქვეყანას, რომელთაც მაღალი დემოგრაფიული პოტენციალი აქვთ (ირანი, თურქეთი, აზერბაიჯანი, ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკები და სხვა). მოსალოდნელია ამ ქვეყნებში მიგრაციული პოტენციალისა და ვექტორის შეცვლაც, რაც მათგან საქართველოზე დემოგრაფიულ დაწოლას გაზრდის. არასწორად გათვლილი იმიგრაციული პოლიტიკის შემთხვევაში სავსებით რეალურია ჩვენი ქვეყნის დემოგრაფიული უსაფრთხოების შესუსტება, ამიტომ გადაუდებელ ამოცანად უნდა მივიჩნიოთ, როგორც საქართველოში მიმდინარე მიგრაციული პროცესების ღრმა შესწავლა, ისე მის საფუძველზე სწორი მიგრაციული პოლიტიკის შემუშავება.

## EXTERNAL MIGRATION PROBLEMS OF GEORGIA

(Abstract)

In recent years, under more or less stabilization conditions of Georgian economy, the intensity of permanent migration has declined. This came after that, when in the period of the 1990s universal crisis about one million people emigrated from the country. Among them Georgians accounted for 29.5%.

The overwhelming majority moved to the Russian Federation. Russian demographic depression and migration policy have a strong impact on both the current contemporary migration processes and its perspective in Georgia. Many experts stress the changes of the geostrategic paradigm – “from gathering lands to gathering people.” It is presumable that immigrants will fill Russian labor resources markedly in the future decades. It is likely labor force to move from Georgia to Russia again, that is beneficial to the both countries by the author’s opinion.

Superfluous politicization of the population migration policy between Russia and Georgia is totally groundless. This contributes to the elevation of migrantofobia and xenophobia that in turn accelerated redistribution processes of Georgian labor force from Russian labor market to the western labor markets and mastering English language instead of Russian.

The multiaspect study of labor emigration of the population of Georgia shows that this process is rather steady. In spite of certain stabilization of the economy, effective employment of labor resources is not reached yet. Nor migration policy is efficient, and its perfection can be achieved in the first place by in-depth study of migration processes.

## **ИНТЕГРАЦИЯ МИГРАНТОВ В ЗАПАДНОЙ ЕВРОПЕ В НАЧАЛЕ XXI ВЕКЕ**

Одним из важных событий 2006 года среди ведущих ученых в области миграции был назван бунт мигрантов в Париже. Вопросы их интеграции встали на повестку дня многих стран Европы. Это вполне объяснимо. Страны ЕС -25 по данным Евростата в 2003 году увеличили население на 1.88 млн. Из них 90% составлял миграционный прирост, а естественный прирост - только 200,1 тыс. человек. Таким образом миграция является одной из основных составляющих, формирующих современную жизнь в Европе. Несмотря на такой большой миграционный прирост по сценариям демографического развития население Европы должно снизиться на 100 млн. человек за 50 лет между 2000 и 2050 годами. Кроме сокращения его старение - вторая проблема европейского континента, которая является причиной беспокойства правительств Европейских стран. Для поддержания численности населения на том же уровне, Европе необходим приток не менее 370 тыс. мигрантов в год (что в настоящее время и происходит). Сохранение доли трудоспособного населения на современном уровне требует приема около 4,7 млн. в год, что требует переосмысления миграционной политики стран Европы (UN, 2001).

Картина демографических трендов во многих странах не радужная (карта 1). Наименее благоприятная ситуация в странах Балтии, Белоруссии, Украине, Армении, Грузии, Румынии, Болгарии и Хорватии.<sup>14</sup> Каждая страна в силу собственных исторических, социально- экономических и

---

<sup>14</sup> Regional hearing for Europe, Bud. Fact Sheet. UN GCIM, 2004.

политических особенностей развития, а также во многом благодаря своему географическому положению имеет свою собственную миграционную модель развития, которая изменяется во времени в ходе изменения социально-экономической и политической ситуации, как в ней самой, так и за ее пределами. Тем не менее, существует единая европейская миграционная система, объединенная основными векторами миграции и факторами, формирующими потоки мигрантов и основные перемещения внутри Европы (Ивахнюк И.2005).

Потеря Европой более 50 млн. человек в обмене с Новым Светом и Австралий с конца XIX до 30-х годов XX века и такая же потеря населения во время двух мировых войн значительно подорвали демографический потенциал Европы. Поэтому смена миграционного оттока на приток с послевоенного времени не смогли пока переломить неблагоприятную демографическую ситуацию сложившуюся после второй мировой войны в Европе. Однако все эти годы, на протяжении послевоенных десятилетий, для Европы, как континента в целом, сохраняются центростремительный тенденции двух основных миграционных потоков: с Востока на Запад и с Юга на Север. Внутри этих основных миграционных потоков происходят значительные изменения в их интенсивности в ту или иную страну и, главное, в этнической композиции мигрантов, формирующих сами потоки.

Одним из главных критериев притягательности для мигрантов той или иной страны является уровень процветания стран и возможности хорошего заработка. Причины выбора мигрантом определенной страны для переезда или временного проживания в Европе традиционны, устойчивы во времени в течении последних 50 лет XX века. Это: 1) *исторические связи стран* (через колониальное прошлое, принадлежность к бывшей

империи; через систему найма гасторбайтеров); 2) *наличие мигрантских сетей*; 3) *проведение страной репатриационных программ*; 4) *возможности получения мигрантом гуманитарного статуса*; 5) *знание языка страны*; 6) *возможности посредника, занимающегося переправкой (помощью) мигранту при переезде.*

*Исторические связи*, направленные на метрополию, сохраняются и поддерживаются до сих пор, независимо от того, принадлежали страны в прошлом к социалистическому или капиталистическому лагерю. Например, принадлежность в прошлом той или иной страны к странам формирующим три основные империи (Российскую, Австро – Венгерскую и Оттоманскую)<sup>15</sup> до сих пор влияет на направление миграционных потоков и их этническую композицию. Миграционные потоки с юга на север также порождены связями колоний и метрополий, поэтому этническая композиция потоков во многие страны Европы напрямую связана с этим: например, для Франции Алжиром и Марокко, для Великобритании – Индией и Пакистаном, для Нидерланд – Суринамом, для Италии – Сомали и Эфиопии и т.д.

Миграционных потоков и с Юга на Север и с Востока на Запад также и *репатриация* граждан метрополий их бывших колоний. В течение всего предыдущего столетия и в начале XXI века этот тип миграции присутствует в большинстве стран Европы, имеющих исторически своих соотечественников, как меньшинства, в других странах. Наиболее крупные диаспоры за

---

<sup>15</sup> Например, Австрия имеет традиционные миграционные связи с Словенией и Хорватией (бывшим ее частям) и в обмен на Турцию выторговала Хорватию в деле присоединения к странам Евросоюза осенью 2005 года. Тоже справедливо и для поведения Венгрии по отношению к соседним странам, к которым после Трианона отошла часть территорий Венгрии.

пределами своих стран в Европе представляют русские, немцы, венгры, далее идут поляки, греки, турки, евреи.

Миграционные потоки – по реюнификации (воссоединению) семей важная составляющая миграции (они последствия организованных наборов гасторбайтеров в Западной Европе (с начала 50-х годов) в СССР (с 70-х годов) – «лимитчиков».

Особенностью миграционных потоков западноевропейской системы является история XX в. гуманитарных традиций предоставления убежища, и как следствие этого – наличие во многих Европейских странах этнических групп не имеющих с этими странами исторических связей, но сформировавших в них свои меньшинства (через институт убежища), например, в Скандинавских странах, Австрии (беженцы из бывшей Югославии, Ирана, Ирака и Турции). В советское время было несколько выплесков беженцев из бывших соцстран на Запад – во время венгерских и чехословацких событий, а также иммиграция евреев и немцев. Для Западной Европы основной поток беженцев и ищущих убежище из Европейских стран шел из Балкан во время Балканских войн 1989- 1992 годов (695800 человек), 2000-2002гг. уже 420 000 человек, в 2003 г. ЕС принял 325 600 аппликаций (UNHCR. 2005, Salt J. 2005). Основные страны притяжения беженцев в ЕС сильно не менялись с годами. В 1981 году это были Германия (37%), Австрия (27%), Франция (15%). В 1990 Германия (50%), Франция (14%), Австрия (27%), Великобритания (7%) и Швеция (8%) и в 2001 году – также Германия (24%), Великобритания (23%), Франция (12%), Нидерланды и Австрия по 8%.

Что же является относительно новым в миграционных тенденциях Европы и есть ли такие особенности?

По абсолютному количеству мигрантов на протяжении последних 50 лет основным центром притяжения является Германия. Она принимает 36,2% всех мигрантов ЕС, далее следует Франция (18,7%) и Великобритания (11,35%). Эти три страны притягивают 63,6% всех мигрантов, направляющихся в ЕС из других стран. Затем следуют Швейцария (6,9%) и Италия (6,3%) и чуть позади – Бельгия (4,2%) и Испания (4,0%). Однако в последние три года (с 2003 г.) самый большой поток мигрантов направлялся в Испанию (сальдо 594,6 тыс. человек) и Италию (сальдо 511 тыс. человек) Германия, Великобритания Турция и Россия ( по 100 000 тысяч в каждую) идут и с пятикратным отставанием (Salt J.,2005).

На протяжении всех 15 лет после развала социалистической системы, Германия также для стран ЦВЕ является главной страной миграции (64,4% от всех мигрантов стран ЦВЕ) выступая в тройке с Швейцарией и Австрией. Эти три страны принимают 76,9% всех мигрантов ЦВЕ, затем идут Италия и Франция.

Внешняя миграция из Западной Европы в другие страны Европы также имеет место. В основном это молодые квалифицированные специалисты, представители различных фирм. Они составляют в странах ЦВЕ около 10% общего количества иностранных мигрантов. Общее количество таких иностранцев из Западной Европы например в России оценивается в 18тыс. человек.<sup>16</sup>

Этническая композиция мигрантов за последние годы значительно менялась. Как говорилось выше, каждая страна Западной Европы характеризуется собственной структурой

---

<sup>16</sup> без Турции (20915 выданных разрешений), Польша -2,600, Финляндия – 1,800, Германия -1,600, Великобритания -1,700, Франция -1,200 человек (Источник: Федеральная Миграционная Служба, 2002).



этнических потоков, композиция которого зависит от колониального прошлого, основных стран потока гасторбайтеров в 50-60 годы и репатриационных потоков.

В 1950 гг. в Западноевропейские страны основные миграции шли из Италии, Испании, Греции, Югославии и Турции. (Migration in Late XX, 1990). Великобритания в это время принимала практически весь поток из Индии, Пакистана и Бангладеш. В 60-х годах из всех африканцев, выезжающих из Африки, 45% направлялись во Францию, в три раза меньшее количество - в Италию, Германию, Великобританию и Испанию. В 70-е годы основной поток мигрантов уже направлялся в основном по каналам воссоединения семей, преимущественно из Турции, Марокко, Алжира и Туниса. В 1980-х в него влились мигранты Ближнего Востока, Южной Америки. С конца 1980-х годов и в 1990-е годы Европа начинает принимать беженцев и ищущих убежище из стран ЦВЕ и Балкан. Этот поток к концу 90-х сменился на трудовую миграцию.

Этническая композиция потоков во многие страны меняется. Так, в странах Средиземноморья, традиционно превалировала миграция из стран Африки, Турции. В настоящее время страны Средиземноморья все больше получают мигрантов из Украины, Молдовы, Албании, а в последнее время и Латинской Америки.

Трудовая миграция во многом определяется существенной разницей в уровне жизни между странами ЕС, кандидатами и остальными (табл. 3).\_\_\_\_\_Особенностью современного миграционного процесса является все более краткосрочный характер миграционных передвижений и, как следствие этого - трудности ее учета. Поскольку в западных странах возрастает мобильность, технические инновации и перемещения осуществляются очень динамично, все больше людей

вовлекаются в миграции, которые не влекут к постоянной смене места жительства, постоянное место жительства сохраняется, хотя большую часть года олюди проводят в перемещениях. (так называемые «неполные мигранты» по определению Окольского М. (Okolski M., 2003),

В докладе Фредерика Ришнера, генерального директора департамента Занятости, социальных дел и равных возможностей ЕС<sup>17</sup> отмечается, что между 1997-2002 годами в период экономического роста доля мигрантов была менее 5% в общей занятости по странам ЕС, их вклад в ВВП составил 15%. В противовес общему мнению, что мигранты в основном заняты неквалифицированным трудом, занятость мигрантов возросла в секторе среднеквалифицированных и высококвалифицированных работников, где занятость у местного населения тоже высока. Так количество мигрантов средней квалификации возросло на 50%, а высококвалифицированных – в два раза. В последние годы наблюдается снижение темпов экономического развития ЕС. Поэтому средняя занятость в ЕС составляет 63% (США –72%), а для мигрантов существенно ниже. Для ЕС была поставлена цель достичь в 2010 году уровня занятости в 70%. Для этого ЕС -25 должны создать более 20 млн. рабочих мест к 2010 (в том числе ЕС-15 –15 млн. человек), что выглядит весьма проблематичным.

Трудоспособное население ЕС-25 не только стареет, но и уменьшается. Ожидается, что общее количество людей трудоспособного возраста между 2010 и 2030 будет сокращаться в среднем на 1 млн. человек в год, что может отразиться на конкурентоспособности ЕС. Даже если допустить, что уровень

---

<sup>17</sup> ОБСЕ второй подготовительный семинар. Миграция с точки зрения безопасности, экономических, экологических перспектив. Алматы, 24-25 янв. 2005. 2PS13EF PlenSea 2/3\_V.

занятости стабилизируется на уровне 70% (цель ЕС-25) и (ре)продуктивности останется на том же уровне (1% в год), но не будет возрастания миграции, эксперты считают, что экономический рост в ЕС снизится до 0,5% в год и рост ВВП на душу населения также значительно снизится. Политики сетуют на эти обстоятельства, однако понимание необходимости привлечения мигрантов не сопровождается изменениями в миграционной политике.

Мигрантам очень непросто попасть легально на рынок труда желаемых стран. Возможности легального проживания в странах ЕС лимитируют легальное трудоустройство многих категорий мигрантов. В Западную Европу официально можно попасть по определенным каналам, многие из которых не дают автоматический доступ на рынок труда, даже если мигранту и разрешается проживание в стране. Эти каналы:

1. воссоединение семьи;
2. предоставление статуса беженца (ищущего убежище);
3. репатриация;
4. обучение;
5. высококвалифицированные персонал транснациональных и международных компаний;
6. личные контракты и приглашения;
7. открытие собственного бизнеса;
8. трудовая миграция (на основе межгосударственных соглашений):
  - сезонные работы;
  - приграничные миграции;
  - тренинги и приглашение преподавателей;
  - квоты на определенные специальности или виды деятельности;

Первые четыре канала не дают возможности быстрого доступа на рынок легального труда. Для этих категорий мигрантов возможности трудоустройства отложены, также как и для членов семей всех категорий мигрантов, поскольку наличие разрешения на работу у одного из супругов-мигрантов не распространяется на членов его семьи. Поэтому реальное количество мигрантов на рынке труда западноевропейских стран невысоко, и гораздо ниже американского. Таким образом сетования чиновников Евросоюза на низкий уровень занятости мигрантов прежде связано с самой политикой стран Евросоюза и подталкивает мигрантов к нелегальной трудовой деятельности, несмотря на то, что например Великобритании нужно заполнить 600 000 вакансий, а Португалия и Испания даже начали специальную программу по привлечению мигрантов из Латинской Америки, которая с точки зрения культуры, языка, традиция, исторических связей им более близка, чем Африканские страны.

В странах ЕС -15 количество официально зарегистрированных трудовых мигрантов составляло в 2003 около 17 млн. человек (Ивахнюк И., 2005). Специалисты считают, что не ожидается значительного протока трудовых мигрантов из вновь присоединившихся стран в ЕС, так как по опросам не более 5% населения этих стран выразило желание переселиться в ЕС. Однако это не касается временной трудовой миграции (Munz R., 2004). Присоединение 10 стран к странам ЕС не дает им право свободного доступа на рынок труда ЕС. Такое возможно для них только в Великобритании, Швеции и Ирландии. В остальных странах ЕС мигранты из вновь присоединившихся стран для попадания на рынок труда должны пройти ту же процедуру, что и любые другие иностранцы. Композиция стран, привлекательных для трудовых мигрантов идентична общему направлению потока мигрантов в

страны Европы. На первые места снова выходят Германия, Франция, Великобритания, а затем - Италия, Испания, Швейцария.

Повсеместно как в странах ЕС, так и в СНГ отмечается рост нерегулируемой миграции. Конечно, трудно достоверно оценить ее. По оценкам разных экспертов общее количество таких мигрантов колеблется от 100,000 человек до 6.4 млн. человек по Европе (International Center for Migration Policy development (ICMPD)). Только оценки по Италии нелегальных рабочих – составили 569 тыс. человек, в Бельгии – около 90 тыс. человек и Швейцарии - от 70 до 180 тыс. человек. По мнению западных экспертов, основными группами стран, производящих нелегалов для Европы являются 1) Страны СНГ (особенно Чечня); 2) Средний Восток и Средняя Азия; 3) Китай и Индийский суб- континент; 4) Румыния, Молдова; 5) страны бывшей Югославии (Salt, 2005).

Торговля и контрабанда людей - постоянно увеличивается, несмотря на попытки правительств противодействовать этому бизнесу. Однако слишком высок доход от данного вида деятельности, так как цена на одного человека из Африки в Европу в зависимости от страны исхода и расстояния колеблется от 2000 до 6500 долларов США, из Азии она составляет уже от 6.3 тысяч до 26 000 долл США; Даже из Европы в Европу цены варьируют от 2,5 до 4 тысяч. долларов США (Salt, 2005). Поток по торговле и контрабанде людьми из стран Центральной и Восточной Европы перекрыл традиционный поток из Азии, Африки и Латинской Америки (Salt p. 35). Например, основными странами исхода, депортированных проституток по данным турецких служб являлись Азербайджан, Молдова, Грузия, Румыния, Россия и Украина. Отмечается возрастание также транзитного трафика женщин и детей. Европейская Комиссия считает, что торговля

женщинами и детьми ежегодно составляет 120 000 человек. (Salt p. 35-36, 2005).

Не удивительно, что если по всему миру размах торговли и контрабанды людей оценивается от 1 до 4 млн. человек, то для ЕС в 300 000- 400 000 человек, а для стран СНГ -100 000 человек (Salt p. 35-36, 2005).

Говоря о потоках мигрантов, направляющихся в ту или другую страну следует представлять, что даже несмотря на малый размер отдельных западноевропейских стран, традиционно являющихся странами приема, миграционные потоки идут в конкретные города и регионы, а не размазываются равномерно по территории, за исключением случаев с массовым бегством населения в случаях катастроф или войн. Поэтому различные страны испытывают различную миграционную нагрузку.

Роль городов в концентрации мигрантов значительна. Например, только 11,5% коренных голландцев живет в 4 крупных городах Амстердаме, Роттердаме, Гааге, Утрехте<sup>18</sup>. В Великобритании мигранты из Азии проживают в основном в районе Большого Лондона, Большого Манчестера, Бирмингема и прилегающей зоны Йоркшира (например, Бредфорд называют «маленький Пакистан»). Во Франции насчитывается по крайней мере 10 млн. граждан из 62 млн. человек, у которых как минимум один из родителей иностранец. Большая часть их живет в Большом Париже (38,3%), Phone-Alpes (с центром в Лионе -12%), провинциях –Alpes –Cote d’Azur (между Марселем и Ниццей -8.4%). (Bade, 2002, p.278). В Германии отмечаются сходные тенденции. Самое большое количество мигрантов в абсолютном выражении проживает в больших городах (Берлин, Мюнхен, Гамбург, Франкфурт на Майне, Кельн, Штутгарт). В

---

<sup>18</sup> В городе живет около 20% суринамской колонии в Голландии.

последних трех и Оффенбахе (Offenbach) доля мигрантов достигает 20% всего населения города. В больших городах оседают и нелегальные мигранты, так как там они менее заметны. По оценкам экспертов около 40 000 нелегальных мигрантов в Голландии работает в Амстердаме, Роттердаме, Гааге, Утрехте (Bade K.J.,2003; European Migration.,1994).

В Западных городах уже сложились районы этнических анклавов – чайна-тауны, арабские кварталы, индо-пакистанские и т.д. Этому во многом способствовали программы строительства социального жилья для малоимущих, которые были развернуты в Западной Европе начиная с 30-х годов. Максимальная концентрация мигрантов отмечается именно там.

Образование как способ иммиграции в настоящее время становится хорошим каналом, поскольку растут запросы на высококвалифицированных специалистов. Страны ЕС и Россия начали проводить политику привлечения иностранцев, кто закончил вузы этих стран и нашел в них работу на постоянное проживание. Этот факт нашел отражение в облегченном получении гражданства на Западе для студентов разных стран в возможностях получить работу. Потенциал неплохой, но много студентов из той же Европы, что не дает увеличения населения в масштабах всего региона, а только перераспределяет его. Сейчас практически во всех Европейских странах выпускникам, окончившим ВУЗы в них и нашедших работу с высоким заработком, дается разрешение на проживание. Особенно такие возможности открываются у специалистов в области информационных технологий. Германия выдала первые 1500 «green cards» из предполагаемых 10 400 для таких специалистов. Этим же путем следуют и остальные страны ЕС. Количество иностранных студентов в них неуклонно растет. Так с 1989 по 1999 годам в ЕС эта цифра с 887,6 тыс. иностранных студентов

возросла до 1061.1 тыс. человек. Самое большое количество иностранных студентов обучается в Великобритании - 227 тысяч человек, Германии - 219 тысяч человек, Франции - 165,4 тыс. человек, России - 70,2 тыс. человек (Salt J, 2005).

### **Стратегия Управления миграционными процессами**

В материалах Совета Европы «К стратегии управления миграцией»<sup>19</sup> отмечается, что в 1990 -х годах европейский словарь по миграции обогатился новыми терминами: «транзитная миграция», «неполная миграция», «торговля мигрантами», «трудоустройство», «ежедневные трансграничные маятниковые миграции», лица со «статусом временного убежища» и др. Появились новые формы этнической миграции. Концепция «постоянного» населения потеряла определенность. В большей части Европы постоянная оседлая миграция продолжается опосредствованно, как результат предшествующих временных миграций через воссоединение семей и создание новых семей.

Поэтому Совет Европы считает, что международная стратегия в области миграции должна учитывать огромное число тех мигрантов, которые совершают туристические и деловые поездки. «Они не только могут подпадать под характеристики временных мигрантов, но благодаря своей поддержке глобальной сети инфраструктуры передвижений (включая дороги, распространение информации, агентства и прочее) они вносят свой вклад в сокращение расстояний, что, в конце концов, облегчает и миграцию. Для многих из них путешествия за границу становятся ознакомительными. Эти

---

<sup>19</sup> Материалы Совета Европы: «К стратегии управления миграцией», CDMG (2000) 11 rev, Брюссель, 2000.



разные группы не должны рассматриваться как нечто раздельное, поскольку один тип мигранта или туриста может преобразоваться в другой.»

### Управление миграционными процессами и рынок труда

Стало уже очевидным, что ни одно правительство не может, при всем своем желании, предотвратить миграцию. Лучшее, что они могут сделать, это направлять и влиять на потоки, через политику регулирования въезда, пребывания и выезда не пытаясь их остановить.

Если раньше международная миграция рассматривала взаимоотношение между фактом переезда мигранта и членов его семьи в целях постоянного проживания или работы, и действия правительства, сегодня это должно рассматриваться как разнообразный международный бизнес, так как хотя роль управления осуществляется правительством, появилось много других игроков. Это не только сами мигранты, но и работодатели, профсоюзы, организация мигрантов, бюро по найму и турбюро, транспортные компании, юридические и консалтинговые фирмы, нелегальные торговцы мигрантами и т.д. Бизнес этот не однороден. Он может быть подразделен на законную (правовую/легальную) и незаконную (неправовую/нелегальную) составляющие. Особенно важно для правительств предотвращение торговлей мигрантами. Отсутствие настоящей координации между этими «игроками» является основной причиной неудач миграционной политики в Европе в процессе разработки общей миграционной стратегии<sup>20</sup>.

---

<sup>20</sup> Материалы Совета Европы: «К стратегии управления миграцией», CDMG (2000) 11 rev, Брюссель, 2000.

## Дискуссионные вопросы в управлении миграцией <sup>21</sup>.

გამოკითხულ სტუდენტ მამაკაცთა და ქალთა უმეტესობას საზღვარგარეთ მუდმივად ან დროებით წასვლა სურთ აშშ-ში და გერმანიაში (იხ. ცხრილი 4).

*ცხრილი 4*

**გამოკითხულთა განაწილება (%) იმ ქვეყნის მიხედვით  
სადაც სურთ წასვლა**

		მუდმივად		დროებით	
		კაცები	ქალები	კაცები	ქალები
1	რუსეთში	0	22.22	5.32	6.54
2	აშშ-ში	16.67	38.89	29.79	23.53
3	თურქეთში	8.33	0	0	0.65
4	საბერძნეთში	8.33	0	5.32	7.84
5	გერმანიაში	33.33	16.67	25.53	29.41
6	სხვაგან	33.33	22.22	34.04	32.03
	სულ	100.0	100.0	100.0	100.0

გამოკითხულ მამაკაცთა პროცენტული განაწილება იმ ქვეყნების მიხედვით სადაც მათ სურთ მუდმივად წასვლა, ასეთია: აშშ (16.7%), საბერძნეთი (8.3%), გერმანია (33.3%), თურქეთი (8.3%), რუსეთი (0.0%), სხვა ქვეყნები (33.3%); ხოლო ქალების - რუსეთი (22.2%), აშშ (29.8%), გერმანია (16.7%), სხვა ქვეყნები (22.2%). აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პოტენციური ემიგრაცია რუსეთის მიმართულებით დაბალია დასავლეთ ევროპისა და აშშ-ს მიმართულებასთან შედარებით. ამის ერთ-ერთი მიზეზი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, რუსეთის მიერ საქართველოსთან მიმოსვლის ე.წ. სავიზო რეჟიმის შემოღებაც არის.

უნდა აღინიშნოს, რომ საკმაოდ მაღალია სტუდენტ ქალთა ხვედრითი წილი, რომელთაც სურთ აშშ-ში მუდმივად გამ-

გზავრება. ჩვენი აზრით, ეს განპირობებულია ამ ქვეყანაში ქალთა დასაქმების მრავალმხრივი შესაძლებლობებით, დასაქმების სპეციფიკით და შრომის მაღალი ანაზღაურებით.

საზღვარგარეთ დროებით წამსვლელთა პროცენტული მაჩვენებლებიდან ჩანს, რომ აქაც ძირითადი იმიგრაციის ქვეყნები ისევ აშშ და გერმანიაა.

პოტენციურ სტუდენტ ემიგრანტთა საქართველოდან წასვლის ძირითადი მიზეზებიც, ასევე, ეკონომიკური ხასიათისაა. ჩვენი გამოკვლევით დადგინდა რომ გამოკითხულ მამაკაცთა 35.3%-ს და ქალების 31.6%-ს საზღვარგარეთ მუდმივად წასვლა სურთ მატერიალური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად; სასწავლებლად წასვლა მიუთითა მამაკაცთა 29.4% და ქალთა 20.0%-მა (იხ. ცხრილი 5).

*ცხრილი 5*

**საზღვარგარეთ მუდმივად ან დროებით წასვლის მსურველთა განაწილება (%) წასვლის მიზეზების მიხედვით**

		მუდმივად		დროებით	
		კაცები	ქალები	კაცები	ქალები
1	მატერიალური მდგომარეობა	35.29	31.58	26.13	8.24
2	საბინაო პირობები	5.88	10.53	0.9	1.1
3	პოლიტიკური მდგომარეობა ქვეყანაში	0	5.26	1.8	1.65
4	სწავლა	29.41	21.05	29.73	41.76
5	წასვლა ოჯახის წევრთან	0	0	0.9	3.3
6	უცხო ქვეყნის სანახავად	23.53	21.05	36.94	39.56
7	სხვა	5.88	10.53	3.6	4.4
	სულ	99.99	100	100	100



ამრიგად, როგორც ფაქტობრივი, ისე პოტენციური ემიგრაცია საქართველოდან, ძირითადად, იძულებითი ხასიათისაა და ეს იძულება დაკავშირებულია ქვეყანაში არსებულ მძიმე ეკონომიკურ პირობებთან, დასაქმების პრობლემებთან და ცხოვრების დონის გაუარესებასთან. ასეთი ვითარების ხანგრძლივად შენარჩუნების პირობებში სულ უფრო გაიზრდება საქართველოდან სამუდამოდ წასვლის მსურველთა რიცხვი.

აღნიშნული კიდევ ერთხელ ადასტურებს იმ ფაქტს, რომ საქართველოში ეკონომიკური ვითარების გაჯანსაღება, განვითარების დაჩქარება და სწორი სოციალური პოლიტიკის შემუშავება-რეალიზაცია გადაუდებელი ამოცანებია. ამის პარალელურად საჭიროა, განისაზღვროს საქართველოს მიგრაციული პოლიტიკის სტრატეგია, რომელიც უნდა ემყარებოდეს ქვეყნის განვითარებისა და მისი მოსახლეობის შრომითი პოტენციალის უკეთ გამოყენების მოთხოვნებს.

**EXTERNAL EDUCATIONAL AND LABOR EMIGRATION  
OF STUDENTS AND YOUTH**

(Abstract)

After the break-up of the Soviet Union in the period of economic crisis in Georgia labor emigration has developed with a high intensity. Partially it took shape of educational and labor emigration. Through our study it was found that population from Georgia migrates mainly to the four major countries: Russia (62.3% of all emigrated), US (13.0%), Germany (7.2%) and Greece (5.8%). The share of the youth who combine work with study is high in the migratory streams directed to Germany and the US.

The study brought out the tight correlative ties between the intensity of educational migration, diasporas residing abroad and the amount of tuition. The number of Georgian students noticeably has increased in Germany and at present their number is still on the rise.

The sociological surveys conducted at higher educational institutions with the aim of studying potential educational migration found that most students and youth have the desire to get education in western European countries and in the US. The share of students and youth who tend to get education abroad gradually experiences a rise.

It was found that among the students who desire to get education abroad there is sufficiently a high share of those whose parents and family members are already settled abroad and live there as labor emigrants. Family members present rather a steady economic basis abroad for their family member-potential emigrants'

education.

The students and youth who desire to get education abroad intensively study English language and languages of the respective countries where they wish to study. The study found that the spending from family budget on studying foreign languages is fairly high.

The Georgian students and youth's aspiration to get education in western countries is conditioned by the personnel policy which was inculcated in Georgian state and private establishments in recent years. In recruiting staff, priorities are given to those who have diploma or certificate issued in western countries. Sometimes such kind of staff is given more reference with comparison to those who have even better special education.

It was found that the part of potential emigrants has decided to stay abroad after getting education and find a job in their specialties. Their small share even desires to integrate with local population. In the case of mastering the foreign languages it is easily achievable, since the Georgian students are well aware of western values and as our study suggests their adaptation period for labor and living abroad is short.

On the other hand students and youth's educational emigration from Georgia has many negative socio-demographic sides. Along with negative effect of "brain drain," students' educational emigration contributes to acute depopulation process in Georgia. Low fertility rates and delayed marriages are common among migrants.

**მონაცემები გარე მიგრაციის შესახებ 2004-2005 წწ.:**

**რეალობა თუ ნონსენსი**

საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სტატისტიკის დეპარტამენტმა ამას წინათ გაავრცელა პრეს-რელიზი, სადაც დასაწყისშივე აღნიშნულია, რომ «2006 წლის 1 იანვრის მდგომარეობით საქართველოს მოსახლეობის რიცხოვნობა 79,8 ათასი კაცით გაიზარდა».

პრეს-რელიზსში ვკითხულობთ: *«ერთ-ერთ რეკომენდაციაზე დაყრდნობით, სტატისტიკის დეპარტამენტმა ქვეყანაში მიგრაციული ნაკადების შესაფასებლად გამოიყენა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საზღვრის დაცვის დეპარტამენტის მონაცემებიც, სადაც ასახულია ქვეყანაში წლის განმავლობაში შემოსულთა და გასულთა რიცხოვნობა მოქალაქეობის მიხედვით. აღნიშნული მონაცემების საფუძველზე 2004-2005 წლებში ქვეყანაში საქართველოს მოქალაქეების დადებითი მიგრაციული ტენდენციები შეინიშნება: 2004 წელს მიგრაციულმა სალდომ - 5,5 ათასი, ხოლო 2005 წელს - 76,3 ათასი კაცი შეადგინა (ანუ ამ წლების განმავლობაში ქვეყანაში შემოვიდა უფრო მეტი ადამიანი, ვიდრე გავიდა), რაც შესაბამის წლებში ქვეყნის მოსახლეობის საერთო რიცხოვნობის ზრდის ერთ-ერთი ძირითადი ფაქტორია».*

ეხლა ყველასათვის გასაგები უნდა გახდეს, თუ ძირითადად რის ხარჯზე იზრდება საქართველოს მოსახლეობის რაოდენობა, რაც პრეს-რელიზის დასაწყისშივე იყო აღნიშნული.

უნდა აღინიშნოს, რომ ნებით, თუ უნებლიეთ დაშვებულ იქნა მეთოდოლოგიური შეცდომა. ამასთან, ერთ შემთხვევაში მიმდინარეობდა იმ რიცხვებით ოპერირება, რომლებიც მოსახლეობის ზრდაზე მიგვანიშნებდა, ხოლო მეორე შემთხვევაში

იმ რიცხვების საერთოდ უგულებელყოფა, რომლებიც მოსახლეობის კლებაზე მეტყველებენ.

აღნიშნავთ, რომ საქართველოს მოსახლეობას გარე მიგრაციის უარყოფითი სალდო 1960 წლიდან ახასიათებს. განსაკუთრებით დიდი ინტენსივობის გარე მიგრაციის უარყოფითი სალდო 1990-იანი წლებისათვის იყო დამახასიათებელი. 1989 წელს საქართველოს მოსახლეობა 5,4 მილიონი იყო, ხოლო 2002 წელს ჩატარებული აღწერით – მხოლოდ 4,4 მილიონი.

ჩვენ ეჭვი არ შეგვაქვს სახელმწიფო საზღვრის დაცვის დეპარტამენტის მონაცემებში, მაგრამ მათ თავისი დანიშნულება აქვს და მათი გამოყენება გარე მიგრაციის განსაზღვრისათვის არ გამოდგება.

ამასთან, აღნიშნული დეპარტამენტის მონაცემებით საზღვრის გადამკვეთ პირთა მიგრანტებთან გაიგივება მიზანშეწონილი არ არის.

მაგალითისათვის ავიღოთ საზღვრის დაცვის დეპარტამენტის 2005 წლის მონაცემები (რიცხვები მოგვყავს დამრგვალებული; ათასი კაცი).

	სულ	შემოვიდა	გავიდა	სხვაობა
საზღვარი გადაკვეთა, სულ	2973,1	1552,2	1420,9	131,3
მათ შორის:				
საქართველოს მოქალაქე	1756,1	916,2	839,9	76,3
სხვა ქვეყნის მოქალაქე	1217,0	636,0	581,0	55,0

- ჯერ ერთი, ისაა და ამაზე ვინმე აუცილებლად უნდა დაფიქრებულიყო, რომ 4 მილიონიან ქვეყანაში ერთი წლის განმავლობაში 3 მილიონი მიგრანტი ვერ იქნებოდა
- მეორე, გაუგებარია, თუ რატომ იყო გათვალისწინებული საქართველოს მოსახლეობის რიცხოვნობის ცვლილებაში მიგრაციული ფაქტორის გათვალისწინებისას მხოლოდ საქართველოს მოქალაქეები და უგულვებელყოფილი სხვა ქვეყნის მოქალაქეები?
- მესამე, საზღვრის გადამკვეთი ყველა პირი მიგრანტად ვერ ჩაითვლება. საქმე ისაა, რომ ზოგიერთი პირი წლის განმავლობაში საზღვარს რამდენჯერმე კვეთს;
- მეოთხე, რაც მთავარია, მოცემულ შემთხვევაში არსებითი მნიშვნელობა აქვს შემოსვლა-გასვლის ხანგრძლივობას. საზღვრის დაცვის დეპარტამენტის მონაცემები, სამწუხაროდ, დიფერენცირებული არ არის შემოსვლა-გასვლის ხანგრძლივობის მიხედვით, ხოლო მის გარეშე არ შეიძლება მიგრაციის სალდოზე სერიოზული მსჯელობა.

საქმე ისაა, რომ ყველა გამოკვლევის (მათ შორის სტატისტიკის დეპარტამენტის) შედეგები უჩვენებს, რომ საზღვრის გადამკვეთ პირთა მეტი წილი მოდის 3 თვემდე ხანგრძლივობაზე, ხოლო პირი, რომელიც ქვეყანაში სამ თვემდე იმყოფება, მიგრანტად ვერ ჩაითვლება.

საზღვრის გადამკვეთ პირთა მხოლოდ მცირე წილი მოდის მათზე, ვინც მუდმივად ან ერთ წელზე მეტი ხანგრძლივობით შემოდის ან გადის ქვეყნიდან. სწორედ ისინი შეიძლება იყვნენ მიგრანტები და მიგრაციული სალდო მათი გათვალისწინებით შეიძლება გაანგარიშდეს.

საზღვრის გადამკვეთ პირთა ქვეყანაში შემოსვლის ან გასვლის ხანგრძლივობის სტრუქტურა ისეთი შეიძლება იყოს, რომ უარყოფითი სალდო დამახასიათებელი იყოს მუდმივად და ერთ წელზე მეტი დროით წასული პირებისათვის, ხოლო

დადებითი გამოდიოდეს 3 თვემდე ხანგრძლივობაზე. ვინაიდან 3 თვემდე ხანგრძლივობაზე ყველაზე მეტი წილი მოდის, საერთო ჯამში, სხვაობა დადებითი იქნება.

მოტანილი პირობითი მაგალითია, მაგრამ ერთი რამ ნათელია, რომ მარტოდენ საერთო მაჩვენებლებით ოპერირება, შემოსულა-გასვლის ხანგრძლივობის სტრუქტურის გათვალისწინების გარეშე, დაუშვებელია.

ამდენად, სტატისტიკის დეპარტამენტის პრეს-რელიზში მოტანილი რიცხვი «მიგრაციული სალდოსათვის» 2005 წელს \_ 76,3 ათასი, ხოლო 2004 წლისათვის \_ 5,5 ათასი, მიგრაციულ სალდოდ ვერ ჩაითვლება და, ამდენად, მათ საფუძველზე საქართველოს მოსახლეობის რაოდენობის ზრდაზე მსჯელობა არ შეიძლება.

ისიც აღსანიშნავია, რომ თვითონ სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემებით გარე მიგრაციის სალდო 2005 წელს უარყოფითი იყო და 334 შეადგენდა. ეს რიცხვი, უდავოდ, მცირეა და ვერ ასახავს რეალურ ვითარებას. გარე მიგრაციის უარყოფითი სალდო გაცილებით მეტი უნდა იყოს... და მაინც თავისი სიმცირის მიუხედავად, უარყოფითია და არა დადებითი. რუსეთის ოფიციალური მონაცემებით 2004-2005 წწ. სალდო საქართველოსთან დადებითი იყო (ანუ საქართველოსთვის \_ უარყოფითი) და დაახლოებით შესაბამისად 4-5 ათასს შეადგენდა. რუსი ექსპერტების აზრით, მოტანილი რიცხვები ვერ ასახავს რეალურ ვითარებას და სალდო რეალურად გაცილებით მეტი უნდა იყოს. ამასთან, მიუხედავად იმისა, რომ მიგრაცია საქართველოდან რუსეთში ბოლო წლებში შემცირდა, რუსეთი, ბოლო დრომდე, მაინც რჩება საქართველოდან მიგრანტთა მიმღებ ძირითად ქვეყანად.

კიდევ ერთიც, «საერთაშორისო და ქართველი ექსპერტები» ერთობლივი მუშაობისას თანმიმდევრულნი მაინც უნდა ყოფილიყვნენ თავისი არჩეული მეთოდის \_ საზღვრის დაცვის დეპარტამენტის მონაცემების - გამოყენებისას.

რატომ მოხდა გადაანგარიშება საზღვრის დაცვის დეპარტამენტის მონაცემების გამოყენების საფუძველზე მხოლოდ 2004-2005 წლებისათვის?

რატომ იქნა უცვლელად დატოვებული 2004 წლის საქართველოს მოსახლეობის რაოდენობა?

2002 წლის იანვარში ჩატარდა მოსახლეობის საყოველთაო აღწერა. ითვლება, რომ აღწერის მონაცემები ყველაზე სანდოა.

საზღვრის დაცვის დეპარტამენტს გააჩნია მონაცემები 2002 და 2003 წლებისათვისაც. ამ მონაცემებით სხვაობა შემოსულებსა და გასულებს შორის უარყოფითი იყო და 2002 წელს -40,1 ათასი, ხოლო 2003 წელს -32,2 ათასი შეადგინა. ამის გათვალისწინებით საქართველოს მოსახლეობის რაოდენობა 2004, 2005 და 2006 წლებში ვერ იქნებოდა ისეთი, როგორც ამას უთითებს სტატისტიკის დეპარტამენტი.

რას ნიშნავს ციფრებისა და წლების მიმართ ასეთი «სელექციური მიდგომა»?!

ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ სტატისტიკის დეპარტამენტის თვითმიზანი გახდა საქართველოს მოსახლეობის გაზრდილი რაოდენობით ჩვენება.

როგორც ჩანს, «კარგი ციფრების სტრატეგია» ეს სტატისტიკის დეპარტამენტის ყოფილი ხელმძღვანელობის «ახალი კურსი» იყო, რომელმაც ადრე გაანგარიშებულ მონაცემებს რევიზიას უტარებს მდგომარეობის გაცილებით უკეთესად წარმოჩენის კუთხით.

«ციფრებით თამაში» არ არის უწყინარი და მას მხოლოდ შემეცნებითი დატვირთვა არ ახლავს. \_ აღნიშნული «სტრატეგია» არ შეიცავს მხოლოდ საზოგადოებისათვის მდგომარეობის უკეთ წარმოჩენის საფრთხეს. მისი წარმატებით განხორციელების შემთხვევაში მას აუცილებლად მოყვება სხვა რისკებიც. მაგალითად, ფაქტობრივთან შედარებით მოსახლეობის რაოდენობის გადამეტებით ჩვენებით სახელმწიფო ბიუჯეტს



მოუწევს დამატებით მილიონობით ლარის გამოყოფა რაიონებში ტრანსფერის სახით, სადაც «დაუმისამართებელი თანხები» კორუფციის წყარო გახდება.

**THE DATA ON INTERNATIONAL MIGRATION IN 2004-2005:  
REALITY OR NONSENSE**

(Abstract)

According to the data of the Department for Statistics of Georgia, net migration in Georgia in 2004-2005 was positive and it was 5,5 thousands in 2004 but 76,3 thousands in 2005. The abovementioned is based on the data by the State Department of Border Defense of the Ministry of Internal Affairs of Georgia.

The author of this article thinks that the data by the State Department of Border Defense has a special aim and must not be used for assessing international migration as it is not reasonable to equalize the migrants with everyone crossing the border.

In this case the duration of arrival-leaving is essential. Unfortunately, the data by the State Department of Border Defense are not differentiated according to the duration of arrival-leaving. Without taking into consideration this fact, it is impossible to talk seriously about net migration.

According to some estimations, in 2004-2005 net migration in Georgia was negative and remained around 30 thousands each year.

## საქართველოში შრომით ემიგრანტთა ფულადი გზავნილების შეფასება

შრომით ემიგრანტთა ფულადი გზავნილები უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს პოსტსაბჭოთა საქართველოს საარსებო მოთხოვნილებებით უზრუნველყოფაში. ჩვენი ვარაუდით, ამჟამად საზღვარგარეთ დროებით სამუშაოდ იმყოფება 350-450 ათასი საქართველოს მოქალაქე, შრომისუნარიანი მოსახლეობის 11%-15%, ძირითადად არალეგალები. ისინი თავისი პროფესიის შეუსაბამო საქმიანობისა და დისკრიმინაციული შრომის ანაზღაურების პირობებში მაინც ახერხებენ თავიანთ ოჯახებს საქართველოში გადმოუგზავნონ შემოსავლის ნაწილი და თავი დააღწიონ სრულ გადატაკებას. როგორც გამოკვლევები გვიჩვენებს, თანდათან იზრდება შრომით ემიგრანტთაგან სამშობლოში ფულადი გზავნილების ოდენობა და მნიშვნელობა. იგი მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მოთხოვნილებების დაკმაყოფილებასთან ერთად, ხშირად, მიგრანტთა ოჯახებისთვის მცირე ბიზნესის წამოწყების კაპიტალადაც იქცევა.

ქვეყნების საგადამხდელო ბალანსის მონაცემებს დაფუძნებული გლობალური შეფასებით, ოფიციალური ფულადი გზავნილები მსოფლიოში შეადგენს 168 მლრდ აშშ დოლარზე მეტს, რაც ორჯერ აღემატება საერთაშორისო დახმარების მოცულობას<sup>40</sup>. მიგრანტთა ფულადი ტრანსფერები პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემდგომ ითვლება განვითარებადი ქვეყნებისათვის დაფინანსების მეორე წყაროდ. ისიც აღსანიშ-

---

<sup>40</sup> Global Economic Prospects 2006: Economic Implications of Remittances and Migration. The International Bank for Reconstruction and Development / The World Bank. Juri Dadush. 16 November, 2005.

[http://publications.worldbank.org/ecommerce/catalog/product?item\\_id=5168974](http://publications.worldbank.org/ecommerce/catalog/product?item_id=5168974)

ნავია, რომ ეს გაანგარიშებები ყოველთვის ვერ იძლევა სრულ წარმოდგენას ფულადი გზავნილების რეალურ მოცულობაზე, რადგან გადაგზავნა ხშირად არაოფიციალური არხებით ხდება. ხოლო თუ ამ უკანასკნელსაც გავითვალისწინებთ, გზავნილთა ოფიციალური ციფრი შეიძლება გაიზარდოს არანაკლებ 2-ჯერ.

იმისათვის, რომ შეფასდეს საერთაშორისო მიგრაციის გავლენა წარმოშობის ქვეყანაზე, აუცილებელი ხდება შრომითი მიგრანტების ფულადი გზავნილების სიდიდის განსაზღვრა. უმრავლეს ქვეყნებში მიგრანტთა გადარიცხვების შესახებ ოფიციალური მონაცემების ძირითად წყაროს ყოველწლიური საგადამხდელო ბალანსი წარმოადგენს<sup>41</sup>.

გზავნილების მოცულობის შეფასება და საგადამხდელო ბალანსში მათი აღრიცხვა არის ნაკადების მართვისა და კონტროლის მეთოდოლოგიური საფუძველი. სამწუხაროდ, გზავნილების შესახებ მონაცემთა ხარისხი არ არის დამაკმაყოფილებელი, რაც განპირობებულია შემდეგი მიზეზებით: ა) სხვადასხვა ქვეყნებში მიგრანტთა გზავნილების აღრიცხვის მეთოდოლოგია ერთნაირი არაა; ბ) კომერციული ბანკების სააღრიცხვო დოკუმენტაციაში ხშირად არ ჩანს გამგზავნის მშობლიური ქვეყანა; გ) კიდევ უფრო მცირე ინფორმაციაა გამგზავნის სტატუსზე, როგორც დანიშნულების ეკონომიკის «რეზიდენტზე» ან «არარეზიდენტზე»; დ) გზავნილთა მოცულობის მისაღები სიზუსტით შეფასებაზე ინსტიტუციონალურ არხებს დიდი დაინტერესება არა აქვთ. განვითარებადი ქვეყნების მთავრობა ხშირად ცდილობს გზავნილების ჭეშმარიტი მასშტაბის დამალვას; ე) უზუსტობები ზოგჯერ გამოწვეულია ე.წ. «გაჟონვებითაც», რაც მიგრანტთა მიერ ფულის გადაგზავნის არაოფიციალური არხების («ხავალა», «ხუნდი», ფინანსური ოპერატო-

---

<sup>41</sup> Билсборроу Р.Е., Хьюго Г., Оберай А.С., Злотник Х. Статистика международной миграции. МБТ. Женева-Москва, 1999. 420 стр.

რების შუამდგომლობა და სხვა მსგავსი) გამოყენების შედეგია. გაეროს მონაცემებით, არაოფიციალური არხებით ფულადი გზავნილები მთლიანი თანხის 40%-ზე მეტია<sup>42</sup>; ვ) ოფიციალურ სტატისტიკაში ვერ ხვდება, ასევე, მიგრანტთა მიერ საქონლის სახით შემოტანილი ნივთების ღირებულება. საზღვარზე ჯიბით გადატანილი ფულიც «მავ» ბაზარზე ხვდება; ზ) რიგ ქვეყნებში ჯერ კიდევ სადავოა «ფულადი გზავნილის» განსაზღვრის პრობლემა, მასში მოიაზრებენ მხოლოდ თანხას, არაფულადი ტრანსფერები კი ყურადღების მიღმა ხვდება; თ) ფულადი გზავნილის გაზომვის მეთოდოლოგიაში იგნორირებული რჩება პერიოდი, რომლის განმავლობაშიც უნდა აღირიცხოს და კორექტირდეს გზავნილთა მოცულობა ინფლაციისა და ვალუტის კურსის ცვლილების გათვალისწინებით; ი) ჯერ კიდევ დაუდგენელია საერთაშორისო შრომით მიგრაციასთან დაკავშირებული საგადამხდელო ბალანსის პოზიციები (ელემენტები) რამდენად ადეკვატურად ასახავს უშუალოდ შრომით მიგრანტთა ტრანსფერებს. ბუნებრივია, ასეთმა ვითარებამ შეიძლება მეტად დაამახინჯოს მიგრანტებისგან საშემოსავლო ნაკადებთან დაკავშირებული ტრანსაქციების კომპონენტები. მიგრანტთა გზავნილები არ არის კაპიტალის მოძრაობის შემადგენელი ნაწილი ძირითადად ორი მიზეზის გამო: პირველ რიგში, მუშაკთა გზავნილები კლასიფიცირდება როგორც მიმდინარე ფინანსური ოპერაცია და აღინიშნება საგადამხდელო ბალანსის მიმდინარე ანგარიშში, მაშინ, როცა კაპიტალის მოძრაობა არის კაპიტალისა და ფინანსების ანგარიშის ნაწილი. მიმდინარე გზავნილები ითვლება მთლიანი ეროვნული პროდუქტის შემადგენლად, ხოლო კაპიტალის მოძრაობა

---

<sup>42</sup> Глущенко Г.И., Пономарев В.А. Официальные системы денежных переводов. Электронный журнал «Банковское Дело», №3, 2005. (<http://www.bankdelo.ru/06Pono1.htm>). Глущенко Г.И. Денежные переводы международных трудовых мигрантов: характеристики и детерминанты. Журнал "Вопросы статистики", №3, 2005, с.38-50.

მშპ-ის შემადგენლად და არის ფინანსირების წყარო. მეორე მხრივ, ქვეყნებს შორის კაპიტალის მოძრაობა განიხილება როგორც რეზიდენტების საგადამხდელო ბალანსის აქტივებსა და პასივებში თანაფარდობის ცვლილება არარეზიდენტებთან შეფარდებით. გზავნილების ნაკადი არ არის კაპიტალის იმპორტი სხვა ქვეყნიდან, არამედ არის კაპიტალის გადაცემა საზღვარგარეთ მცხოვრები მოქალაქეების მიერ სამშობლოში მცხოვრებთათვის ისე, რომ არ წარმოიქმნება არავითარი ვალეზი და საერთაშორისო ფინანსური მოთხოვნები. ამასთან, საგადამხდელო ბალანსის პოზიცია \_ «სხვა მიმდინარე გზავნილები» ყოველთვის არ გამოიყენება შრომით მიგრანტთა გზავნილების აღრიცხვისათვის, თუმცა რეალურად შეიცავს ასეთი სახის ტრანსფერებს.

ამრიგად, ჯერჯერობით, წარმოშობის თუ დანიშნულების ქვეყნებზე ფულადი გზავნილების გავლენის შეფასებისას არ შეიძლება ყოველმხრივ ვენდოთ მხოლოდ საგადამხდელო ბალანსის მონაცემებს. ამიტომ არსებული ინფორმაციული ხარვეზების შესავსებად მნიშვნელოვან ინსტრუმენტად ითვლება სპეციალური ანკეტური გამოკვლევა.

შრომითი მიგრანტების ტრანსფერის მოცულობა დამოკიდებულია მიმღებ ქვეყანაში ემიგრირებულთა რიცხოვნობაზე; იმიგრაციისა და შრომითი საქმიანობის ხანგრძლივობაზე. საქმიანობის სახეზე, საცხოვრებელ ადგილზე, გამოცდილებაზე, ანაზღაურებაზე, ცხოვრების ღირებულებაზე, გზავნილის თვიურ ოდენობაზე, საბანკო მომსახურების ხელსაყრელობაზე. თავის მხრივ, ამ პარამეტრების ცვლილებაც ერთმანეთზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს. მაგალითად, იმიგრაციის პერიოდზე დიდადაა დამოკიდებული ანაზღაურების სიდიდე და, შესაბამისად, სამშობლოში გზავნილის ოდენობაც. გამოკვლევებით ჩანს, რომ ხანმოკლე ვადით საზღვარგარეთ მყოფი შრომითი მიგრანტი გაცილებით ნაკლებს ხარჯავს საკუთარი თავისათვის, რაც განსაზღვრავს დანაზოგის სიდიდეს. შრომის

ანაზღაურება დამოკიდებულია მიმღები ქვეყნის გეოგრაფიულ მდებარეობაზე, ემიგრირების ორგანიზებასა და ფორმებზე; მიგრანტის სტატუსზე, დემოგრაფიულ სტრუქტურაზე, მიგრანტის კვალიფიკაციაზე, პროფესიაზე, შრომის ინტენსივობაზე, დასაქმების სფეროსა და ა.შ. ზოგჯერ\_ კვლევის პერიოდზეც, ქვეყანაში არსებულ საშუალო ხელფასის სიდიდეზე, რომელიც კვლევის მანძილზე ინფლაციის გამო რამდენჯერმე შეიძლება შეიცვალოს. თვიური ფულადი გზავნილის სიდიდე დამოკიდებულია აგრეთვე ოჯახთა იმიგრირებული წევრების რაოდენობაზე, თუკი ოჯახი სრული შემადგენლობითაა (ცოლ-ქმარი შვილებით), მაშინ პირადი მოხმარებისთვის მეტ ხარჯებს სწევს ადგილზე (შვილების სასკოლო განათლებაზე, ჯანდაცვაზე, სახოვრებელი პირობების გაუმჯობესებაზე) და ტრანსფერის ოდენობა სამშობლოში გაცილებით იკლებს.

ასეთი ფაქტორების გათვალისწინება მოგვცემს წინასწარი გათვლების საშუალებას განსაზღვრული დროის განმავლობაში ფულადი გზავნილების სავარაუდო სიდიდეზე, ასევე, თუ რაში და როგორ იქნება გამოყენებული ოჯახის წევრების მიერ მიგრანტთა გამომუშავებული თანხა.

ზემოთ ჩამოთვლილი მაჩვენებლების განსაღვრის მიზნით საჭიროა სოციოლოგიური გამოკვლევის ჩატარება: მიგრანტოლოგების მიერ შემუშავებულია ანკეტების სამი მოდული, რომელიც მოიცავს ფულადი გზავნილების შესახებ ამომწურავ კითხვებს. პირველი მოდული ეხება შრომითი ემიგრანტებისგან შინამეურნეობებში გზავნილებს; მეორე\_ დაბრუნებულ მიგრანტთა მიერ ჩამოტანილ თანხას; მესამე კი\_ იმიგრაციის ქვეყანაში იმიგრანტის ანაზღაურებას. პირველი და მეორე მოდულით შემცვლელი რესპონდენტებისა და დაბრუნებული მიგრანტების ანკეტირება სამშობლოში ხდება, მესამე სახის ანკეტით კი შრომითი მიგრანტი გამოიკითხება უშუალოდ იმიგრაციის ქვეყანაში.

ანკეტირებით მიღებული მონაცემების საფუძველზე შესაძლებელია მიგრანტთა გამგზავნის ქვეყანაში ფულადი გზავნილების მოცულობის გამომანგარიშება რამოდენიმე ხერხით:

**1. ტრანსფერის ოდენობა = შრომითი მიგრანტების რიცხოვნობა X იმიგრაციის ხანგრძლივობა X შრომითი მიგრანტების საშუალოთვიური რიცხოვნობა X გზავნილის საშუალოთვიური სიდიდე<sup>43</sup>**

ამ შემთხვევაში პარამეტრების მოპოვება შესაძლებელია მიმღებ ქვეყანაში ჩატარებული სოციოლოგიური კვლევის საშუალებით ან დონორ ქვეყანაში შრომითი მიგრაციიდან დაბრუნებულთა ინტერვიუებით.

**2. ტრანსფერის წლიური სიდიდე = შრომითი ემიგრანტების მიახლოებითი რიცხოვნობა X გზავნილის საშუალო თვიური სიდიდე X წელიწადის 12 თვე**

პრაქტიკაში ამ მეორე მეთოდს იყენებენ, ვინაიდან კვლევა შედარებით მარტივია და ეყრდნობა მხოლოდ ემიგრაციის ქვეყანაში შემცვლელ რესპონდენტთა გამოკითხვას.

**3. ემიგრაციულ ქვეყანაში ფულადი გზავნილების მოცულობას ანგარიშობენ, აგრეთვე, ოჯახის მთლიან შემოსავლებში გზავნილების წილით<sup>44</sup>. ამისათვის საჭიროა თავდაპირველად გამოკვლევულ იქნეს შინამეურნეობები და მათი შემოსავლები, შემდეგ გზავნილების წილი და ეს ორი მაჩვენებელი გადამრავლდეს იმ ოჯახთა რიცხოვნობაზე, რომლებსაც ერთი წევრი მანც ჰყავთ შრომით ემიგრაციაში. უნდა შევნიშნოთ, რომ ამ**

---

<sup>43</sup> Мукомель В.И. Миграционная политика России: Постсоветские контексты. М., Диполь-Т, 2005. стр. 199.

<sup>44</sup> The Status of Households in Georgia (Final Report). Migration Within Georgia and Abroad, §II. [Dershem Larry and Khoperia Tea]. USAID, Save the Children, IPM. Tbilisi, Georgia, 2004. 164p.




ხერხით ქვეყანაში ფულადი გზავნილების სიდიდის გაანგარიშება მეტ ცდომილებას გვაძლევს, ვიდრე დანარჩენი.

2000\_2006 წლებში ჩვენი უშუალო მონაწილეობით შრომითი ემიგრაციის შესწავლის მიზნით განხორციელდა რამდენიმე კონკრეტული სოციოლოგიური გამოკვლევა. გამოიკითხა 1132 ე.წ. შემცვლელი რესპონდენტი ანუ შრომითი მიგრანტის ოჯახის წევრი და ახლობელი. ხოლო, უფრო მცირე მასშტაბით, შესაძლებელი გახდა უშუალოდ შრომითი ემიგრანტების ანკეტირებაც. ნაწილის კვლევა მოხდა თვით მიმღებ ქვეყნებში (125 ემიგრანტი), აგრეთვე, გამოვიკვლიეთ შრომითი ემიგრაციიდან დაბრუნებულები და დროებით ჩამოსულები (150 რესპონდენტი). ამას გარდა, ინტერნეტის საშუალებით შევისწავლეთ ახალგაზრდა შრომითი ემიგრანტები მათი ინტერვიუების გზით (96 რესპონდენტი).

კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ: ა) ადრინდელი პერიოდებისაგან განსხვავებით 1990-იანი წლებიდან შრომითმა მიგრაციამ მოიცვა მთელი საქართველო; ბ) დადგინდა, რომ მიგრაციის მიზეზები, უპირატესად, ეკონომიკური ხასიათისაა; გამგზავრებამდე ემიგრანტთა 48% უმუშევარი იყო; გ) გამოვლინდა, რომ მიგრანტები მიემართებიან სამუშაოდ ძირითადად 4 ქვეყანაში: რუსეთში მთელი ნაკადის 41%, საბერძნეთში (15%), გერმანიაში (13%) და აშშ-ში (14%) (გრაფიკი 1).

გამოკვლევამ გამოავლინა, რომ შრომითი ემიგრანტების 80% თავიანთ ოჯახს ეხმარება ფულადი გზავნილებით. შრომით ემიგრანტთა მცირე ნაწილი გადმოგზავნასთან ერთად, იქაც აგროვებს ფულს და თვლის, რომ დაბრუნებისას ჩამოიტანს. შრომით ემიგრანტთა 14% ვერ ეხმარება ოჯახს, მათი დიდი ნაწილი მომუშავე სტუდენტობაა. ამიტომ გერმანიიდან და ევროპის სხვა ქვეყნებიდან იმათი წილი, ვინც ვერ ეხმარებიან ოჯახს, არცთუ მცირეა, ძირითადად, ახალგაზრდობა (34,8%).

შრომითი მიგრაციის მიმართულებები საქართველოდან



ერთი ემიგრანტის თვიური შემოსავალი მიმღებ ქვეყანაში საშუალოდ 744 აშშ დოლარს შეადგენს, ხოლო გზავნილი თვეში \_ 178,5 დოლარს (ცხრილი 1).

ყველაზე ნაკლები შემოსავალი დსთ ქვეყნებში ემიგრირებულებს აქვთ, ხოლო აშკარად დიდი შემოსავლით გამოირჩევიან აშშ-ში მომუშავე ჩვენი თანამემამულენი. იმიგრაციის ოთხი მთავარი ქვეყნიდან გზავნილების წილი შრომით ემიგრანტთა შემოსავალში ერთი მესამეა.

გამოკვლევული რეგიონების მიხედვით, აშკარად მაღალი შემოსავლები აქვთ თბილისიდან ემიგრირებულებს მათი უპირატესად განვითარებულ ქვეყნებში ემიგრირების გამო.

შრომით ემიგრანტთა შემოსავლებისა და საქართველოში ფულადი გზავნილების საშუალო სიდიდე, აშშ დოლარი

გამოკვლევული რეგიონი		შემცველ რესპონდენტთა პასუხების მიხედვით								
		თბილისი	რუსთავი	ტყიბული	ახალქალაქი	ამბროლაურის რაიონი	აჭარის არ*	სენაკი, ზუგდიდი	თელავი	სულ
რუსეთი	შემოსავალი	529,5	640,5	397,2	260	594,6	462,9	432	916,7	529,2
	გზავნილი	155,5	211	126,9	65	167	178,7	165	366,6	179,5
საბერძნეთი	შემოსავალი	711,6	781,8	540	-	566	503,7	780	575	646
	გზავნილი	150,4	141	102	-	206,3	222,2	574	237,5	204,2
გერმანია	შემოსავალი	658,7	652,4	475	-	700	2162	560	440	706
	გზავნილი	127,2	100	132,9	-	112,5	456	200	210	167,3
აშშ	შემოსავალი	2079	176	1227	-	1233	2346	1840	2840	1467,7
	გზავნილი	404,8	272,7	254	-	258	552	662	675	397,3
ისრაელი	შემოსავალი	1071,4	800	-	-	700	1521	-	-	682,1
	გზავნილი	275,7	150	-	-	500	685	-	-	268,5
ბელგია	შემოსავალი	783	-	700	-	-	-	674	1000	526,2
	გზავნილი	272,2	-	100	-	-	-	225	550	232,9
ევროპის სხვა	შემოსავალი	791	812,5	466,6	300	-	858	735	1507	683,8
	გზავნილი	150,5	221,5	66	50	-	294	156	320	157,5

\* აჭარაში ფულადი გზავნილის თაობაზე ინფორმაცია მოგვაწოდა ა. ტაკიძემ.

ქვეყნები	ლი	3	3							2
თურქეთი	შემოსავალი	350	425	-	-	308	683,3	-	-	441,6
	გზავნილი	75	135	-	-	156	233,3	-	-	149,8
სომხეთი	შემოსავალი	-	-	-	90	-	189	-	-	132
	გზავნილი	-	-	-	19,6	-	52	-	-	29,8
აზერბაიჯანი	შემოსავალი	-	200	-	-	-	-	-	-	200
	გზავნილი	-	-	-	-	-	-	-	-	-
უკრაინა	შემოსავალი	-	-	-	-	-	-	412	-	412
	გზავნილი	-	-	-	-	-	-	117	-	117
სხვა ქვეყნები	შემოსავალი	2311,5	833	200	-	600	3066	618	-	1089
	გზავნილი	169,2	177	50	-	109,4	267	108	-	125,8
საშუალოდ	შემოსავალი	1053	813	506	252,9	614	1148,4	433	1132	744
	გზავნილი	206,9	169,8	135	63	173,2	281,1	157,2	271,4	178,5

მეტი იგზავნება აშშ-დან (397,3\$) და საბერძნეთიდან (204,2\$), შედარებით ნაკლები – რუსეთიდან (179,5\$) და გერმანიიდან (167,3\$). ყველაზე მცირე გზავნილი საშუალოთვიურად შემოდის სომხეთიდან და თურქეთიდან.

საქართველოს ეროვნული ბანკის მონაცემებით და, ასევე, USAID და Save the Children-ის ერთობლივი კვლევით გამოვლინდა, რომ საბანკო სისტემების საშუალებით თანხის გადმოგზავნაში დომინირებს რუსეთის ფედერაცია, მას მოსდევს აშშ (შესაბამისად, 62%, 15%). ხოლო საქართველოს რეგიონებს შორის საბან-


ყო მომსახურებით გზავნილების მიღებაში ყველაზე აქტიურია სამეგრელო (6,8%), ქვემო ქართლი (6,4%) და რუსთავი (6,3%)<sup>45</sup>.

ჩვენი ვარაუდით, საქართველოდან გასულია 350-450 ათასი შრომითი ემიგრანტი, მათგან საქართველოში საზღვარგარეთიდან წლიურად ვალუტის სახით შემოდის 650-850 მლნ აშშ დოლარი.

რესპონდენტთა 56,3%-ის აზრით, მათი გზავნილები სამშობლოში დარჩენილი ოჯახების შემოსავლების ძირითადი წყაროა, 28,7% კი მას შემოსავლის ნაწილობრივ წყაროდ მიიჩნევს (გრაფიკი 2).

### გრაფიკი 2

**შრომითი ემიგრანტების პასუხების განაწილება კითხვაზე – «როგორ ფიქრობთ, ფულადი გზავნილები სამშობლოში დარჩენილი ოჯახის შემოსავლის ძირითადი წყაროა?» – პასუხების მიხედვით (პროცენტობით ჯამთან)**



აღნიშნული თანხა ძირითადად საყოფაცხოვრებო მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად გამოიყენება, ამავე დროს, დადგინდა, რომ შრომით ემიგრანტთა 18%-ისთვის

<sup>45</sup> The Status of Households in Georgia (Final Report). [Dershem Larry and Khoperia Tea]. USAID, Save the Children, IPM. Tbilisi, Georgia, 2004. p.15-22.

არანაკლები მნიშვნელობა აქვს დასავლური განათლების მიღებას. აღსანიშნავია ისიც, რომ ემიგრაციის გამო თავიანთი ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესება რესპონდენტებს არ მიუთითებიათ, თუმცა არიან ისეთებიც (პასუხების 11,6%), ვინც ჯერჯერობით მის წინაშე მდგარი ვერცერთი პრობლემის გადაჭრა ვერ მოახერხა (ცხრილი 2).

დაბრუნებულ შრომით მიგრანტთა შორის 19,8%-მა მოახერხა შემოსავლიანი საქმიანობის წამოწყება, 4%-მა სწავლის საფასურის გადახდა, მაგრამ ძირითადი ნაწილის (40%) დანაზოგი მაინც პიველადი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას ხმარდება, ვინაიდან დაბრუნების შემდეგაც ჭირს სამსახურის შოვნა, მათი 37% უმუშევარია.

იმის გამო, რომ ემიგრანტების სამშობლოში ჩამოსვლებს შორის დიდი ინტერვალია, ფულად დახმარებას გზავნიან ძირითადად ბანკის საშუალებით (46,3%), ან ატანენ ახლობლებს (32,8%) და ავტობუსის მძღოლს ან მგზავრს (13%). ეს უკანასკნელი ფორმა ყველაზე მეტად გამოიყენება საბერძნეთიდან და აზერბაიჯანიდან ფულის გამოგზავნისას. მიუხედავად იმისა, რომ ბანკის მეშვეობით ფულის გადმოგზავნა საკმაოდ ძვირია, ალტერნატიული გზების არარსებობის გამო მაინც მას მიმართავენ. ამავე დროს, ისინი დარწმუნებულნი არიან, რომ თანხა არ დაიკარგება. მსოფლიო ბანკის შეფასებით, ფულადი გზავნილების არაოფიციალური გზით გადმოგზავნა ჯდება თანხის 10-15%<sup>46</sup>, ასეთი დიდი ტარიფი მიგრანტთა დანაზოგს და სამშობლოში დარჩენილ ღარიბ ოჯახთათვის განკუთვნილ შემოსავლებს საგრძნობლად ამცირებს.

---

<sup>46</sup> Global Economic Prospects 2006: Economic Implications of Remittances and Migration. World Bank. Juri Dadush. November, 2005. 180 p.  
[http://publications.worldbank.org/ecommerce/catalog/product?item\\_id=5168974](http://publications.worldbank.org/ecommerce/catalog/product?item_id=5168974)

შრომითი ემიგრანტების პასუხების განაწილება  
 კითხვაზე – “შრომითი ემიგრაციის განხორციელებით რა ძირითადი პრობლემების გადაჭრა მოახერხეთ?” –  
 პასუხების მიხედვით (პროცენტობით ჯამთან)

შრომითი ემიგრაციით მიღებული სიკეთე	%
<b>პასუხები:</b>	
შევიძინე ბინა	2.4
შევიძინე ბინა მშობლებისგან ცალკე	2.5
მსუბუქი ავტომანქანა	6.1
ქალაქგარეთ სახლი	0.9
ძვირადღირებული საყოფაცხოვრებო ნივთები	6.9
ძვირადღირებული ტანსაცმელი	1.7
ჩავატარე საცხოვრებელში რემონტი	4,1
შევძელი უმაღლესი განათლების მისაღებად თანხის გამოყოფა	4.0
დავაბრუნე ვალი	1.4
მიგვიწვდება ხელი ძვირადღირებულ სამედიცინო მომსახურებაზე	1.4
საშუალება შეგვექმნა, საზღვარგარეთ დასასვენებლად წასვლისა	1.4
მოვეწყე შემოსავლიან სამსახურში (სახელმწიფო; კერძო)	2.6
ვფლობთ შემოსავლის საკუთარ წყაროს	7.8
წამოვიწყეთ მცირე ბიზნესი	0.9
<b>ვუბრუნველყავით ძირითადად მხოლოდ ოჯახის</b>	<b>35.0</b>

<b>აუცილებელი მოთხოვნები</b>	
<b>ვერცერთი ზემოთჩამოთვლილი პრობლემის გადაჭრა ვერ მოხერხდა</b>	4.9
<b>ჯერჯერობით არცერთი პრობლემა არ გადაჭრილა, მაგრამ იმედი არის</b>	7,7
<b>პირიქით, მდგომარეობა უარესობისკენ შეიცვალა</b>	-
<b>მივიღე დასავლური განათლება</b>	7.3
<b>სულ</b>	100

ჩვენი აზრით, სახელმწიფო სტრუქტურებმა და დასაქმების საშუამავლო სააგენტოებმა სამოქმედო პროგრამაში უნდა შეიტანონ შრომითი ემიგრანტების გზავნილების ორგანიზების გაუმჯობესება, რათა ამ თანხის დიდი ნაწილი არ დარჩეს უცხოეთის ბანკების სარგებელში. ყურადსაღებია, რომ ეს მნიშვნელოვანი პრობლემა ყველა ემიგრაციული ქვეყნის წინაშე დგას.


2005 წლისთვის ჩვენი გაანგარიშებით, ემიგრანტთაგან წლიურად ვალუტის სახით შემოსული თანხა საზღვარგარეთიდან პირდაპირი ტრანსფერების ოფიციალურ მონაცემებს 2-ჯერ აღემატება [საქართველოს ეროვნული ბანკის მონაცემებით, 2005 წელს წლიური ელექტრონული გზავნილების მოცულობა საზღვარგარეთიდან შეადგენდა 403 მლნ აშშ დოლარს, 2006 წელს კი\_ 544 მლნ აშშ დოლარს<sup>47</sup>] (გრაფიკი 4). იგი მნიშვნელოვნად ნაკლებია ჩვენი გამოკვლევით მიღებული გზავნილების მოცულობაზე, რაც აიხსნება, ნაწილობრივ, აღრიცხვის ნაკლოვანებებითა და არაეფექტური, ძვირადღირებული საბანკო მომსახურებით. სამწუხაროდ, საქართველოს საბანკო სისტემა ვერ აღმოჩნდა მზად, სრულად უზრუნველყო საიმედო და ხელსაყრელი

<sup>47</sup> საქართველოს ეროვნული ბანკი. მონეტარული და საბანკო სტატისტიკის ბიულეტენი. თბილისი, № 4(70), 2004. გვ.115.



ტრანსფერული არხები მიგრანტთა გზავნილების დიდი ნაკადისთვის. გლობალურ ფინანსურ ბაზარზე ამჟამად დომინირებული საბანკო მომსახურება – Western Union, Money Gram, Aneilic, Gigante Express, Caucasus Express, Delivery, IRNet, Bancomer – საქართველოს შრომით მიგრანტთათვის ყოველთვის ხელსაყრელი არაა. მიგრაციული პროცესების თითოეული სუბიექტი უნდა დაინტერესდეს სამუშაო ძალის ექსპორტისაგან სავალუტო შემოსავლების მიღების ეფექტიანი სისტემის ფორმირებით, ვინაიდან ამ გზით ბრუნვაში იმ დამატებითი სახსრების ჩართვას შეძლებს, რომელიც დღეს ჩრდილოვან ეკონომიკაში მიედინება. ეს სარგებელს მოუტანს როგორც კერძო, ისე სახელმწიფო ფინანსურ სექტორსა და, განსაკუთრებით, თვით მიგრანტებს.

საზღვარგარეთიდან ელექტრონული საბანკო გზავნილების  
სიდიდე საქართველოში წლიურად, მილიონი აშშ დოლარი<sup>48</sup>



განხორციელებული შრომითი ემიგრაციით კმაყოფილია რესპონდენტთა 65%. ისინი შექმნილ რეალობაში ემიგრაციას უალტერნატივო გამოსავლად მიიჩნევენ.

გამომდინარე აქედან, შრომით ემიგრაციას, მიუხედავად თანხლები მწვავე სოციალური პრობლემებისა, უდიდესი მნიშვნელობა აქვს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური კრიზისიდან გამოყვანისათვის. შრომის ეროვნულ ბაზარზე ზეწოლა შესუსტდა, საქართველოში დამატებითი ვალუტა შემოვიდა, ქვეყნის საგადამხდელი ბალანსის დეფიციტი შემცირდა, მოსახლეობის დანაზოგები გაიზარდა. ფულადი გზავნილები ხელს უწყობს შინამეურნეობების ცხოვრების დონის ზრდას სახელმწიფოს ხარჯების გაღების გარეშე; ფინანსური კრიზისის პირო-

<sup>48</sup> საქართველოს ეროვნული ბანკი.

[http://www.nbg.gov.ge/nbg\\_new\\_geo/Publications/sarch\\_last.htm](http://www.nbg.gov.ge/nbg_new_geo/Publications/sarch_last.htm)

ბებში პირველადი მოხმარების საგნებზე მოთხოვნის დონეს უცვლელად ინარჩუნებს; დიდი მნიშვნელობა აქვს სავაჭრო დეფიციტის დაფარვასა და საგარეო ვალის მომსახურებასთან მიმართებაში; ფულადი გზავნილები გამოიყენება სესხების დამატებით უზრუნველსაყოფად. ვითარდება საბანკო სისტემა, ბანკები ხსნიან შვილობილ ფილიალებს არა მარტო მთელი ქვეყნის ტერიტორიაზე, არამედ მიმღებ-დონორ ქვეყნებში; სატელეფონო ბიზნესიდან შემოდის დიდი თანხა; ძლიერდება სადაზღვევო მომსახურება, სადაზღვევო კომპანიები გვთავაზობენ გადაგზავნის პროცედურის დაზღვევას; სამშენებლო კომპანიები სარგებლობენ მიგრანტებისგან ინვესტიციებით. ფულადი გზავნილები მრავალი ქვეყნისთვის უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ოფიციალური დახმარება და პირდაპირი უცხოური ინვესტიციები. ის წარმოადგენს განვითარებად ქვეყნებზე პოლიტიკური ზეგავლენის საშუალებასაც კი, რა თქმა უნდა, მშვიდობიან ფორმებში<sup>49</sup>.

ამრიგად, შრომით ემიგრანტთა ფულადი გზავნილები საქართველოში მნიშვნელოვნად ეხმარება ქვეყანას სიღარიბიდან თავდაღწევაში.

---

<sup>49</sup> Мукомель В.И. Миграционная политика России: Постсоветские контексты. М., Диполь-Т, 2005. стр. 201.

**ESTIMATION OF LABOUR EMIGRANTS  
REMITTANCES IN GEORGIA**

(Abstract)

The study found that a) the reasons for migration are mostly of economic nature; b) migratory streams are mainly directed toward four countries: Russia (41% of labour emigrants), USA (14%), Germany (13%) and Greece (15%); c) labour emigrants are employed extremely in low-skilled jobs, despite the fact they are high skilled; d) emigrants' remittances are of decisive importance as they are mainly spent for satisfaction of the population's major requirements.

Due to the external labour migration the pressure on the national labour market has lessened, additional currency flew into Georgia, the deficit of the country's tax balance has decreased and population savings have increased.

Employment of Georgian labour emigrants is illegal that worsens their labour and living conditions even more.

The major part of the migrants lives in unfavourable housing conditions, mostly in low-cost rented flats with friends. Part of them lives at their work places.

The average amount of monthly remittances sent by one labour emigrant to Georgia amounted to 178.5 USD. The total amount of remittances sent to Georgia by 300-400 thousand emigrants in a year is 650-850 million USD.

The existing situation requires from the government to pursue effective migration policy. It is necessary to stimulate the interstate cooperation in the sphere of migration; to improve and simplify the system of currency inflow in Georgia through the work force

export; to give emigrants the incentive to invest remittances in small business of Georgia.

## **НАЗНАЧЕНИЕ ДЕНЕЖНЫХ ПЕРЕВОДОВ ЭМИГРАНТОВ ИЗ ТИАНЕТИ:**

### **НЕПРОДУКТИВНОЕ ПОТРЕБЛЕНИЕ или ИНВЕСТИЦИИ В ПРОИЗВОДСТВО?<sup>50</sup>**

В период экономического кризиса 1990-х трудовая эмиграция стала неотъемлемой составляющей жизни в Грузии, с которой многие грузинские семьи знакомы непонаслышке. Глубокое изучение этого феномена, однако, связано с рядом сложностей как объективного, так и субъективного характера, в результате чего наши знания о влиянии эмиграции на жизнь в стране, в том числе – об экономической роли трудовой эмиграции, весьма ограничены. В частности, мы мало знаем об объеме, регулярности, назначении и роли денежных переводов грузинских трудовых мигрантов. Оценить точный объем такого рода переводов крайне сложно в любой стране мира, тем более – когда большая часть переводов совершается неформальным способом, в обход банковской системы.

Учитывая высокий уровень безработицы в Грузии (особенно – в регионах), а также невысокий уровень зарплаты работающих в т.н. госсекторе, для многих семей трудовых эмигрантов денежные переводы из-за границы составляют

---

<sup>50</sup> Авторы статьи выражают благодарность ассистент-профессору Тбилисского Государственного университета Лие Цуладзе, директору Центра Независимых Социологических Исследований В.М.Воронкову, доктору А.-Г. Мугалу, и профессору Государственного Университета им. Ильи Чавчавадзе Гиги Тевзадзе за их поддержку и помощь в ходе подготовки исследования и анализа данных.

важную статью дохода. Трудно оспаривать утверждение, что такие переводы значительно улучшают экономическое положение семей эмигрантов, позволяют повысить расходы не только на питание, но и на образование и здравоохранение; следовательно, они представляют собой весьма серьезный фактор в борьбе с бедностью.

Вместе с тем, как показывают исследования, проведенные в других странах, роль денежных переводов может быть более значительной: если они не рассматриваются исключительно как источник удовлетворения повседневных нужд, такие переводы могут играть существенную макро-экономическую роль. Просчитано, например, что в случае грамотного инвестирования денежные переводы могут принести прибыль, которая в три раза превышает изначальную сумму (4: 195). Известно, что от 5 до 10% суммы, переведенной на родину трудовыми эмигрантами из Латинской Америки, либо инвестируется, либо оседает в банках в качестве сбережений (8: 325).

Цель настоящей статьи – изучение роли денежных переводов трудовых эмигрантов в экономике Тианети, небольшого горного поселка на Северо-Востоке Грузии, расположенного в одном из самых бедных регионов страны, Мцхета-Мтианети (7). Тианети характеризуется довольно суровыми климатическими условиями, что мешает высокой производительности сельского хозяйства, а промышленность там совершенно отсутствует, что приводит к высокой безработице. Вдобавок, население поселка вынуждено мириться с крайне сложными бытовыми условиями, как-то сбой систем электро- и водоснабжения, отсутствие природного газа и пр.

## Перепись

В конце августа – начале сентября 2006 года в Тианети была проведена перепись населения<sup>51</sup>, в ходе которой была собрана информация о 1062 домохозяйстве. Кроме того, нами было зафиксировано 210 закрытых, нежилых, строящихся или недостроенных домов. В ходе переписи мы попросили респондентов назвать всех членов семьи, включая тех, кто в данный момент не находится в Тианети. Постоянное население поселка по нашим данным составило 3097 человек.<sup>52</sup>

В 301-м из 1062 домохозяйств Тианети (что составляет 28%) был зафиксирован хотя бы один эмигрант, но есть семьи, откуда эмигрировали более одного человека. Всего было зафиксировано 413 эмигрантов, т.е. 13.5% постоянного населения Тианети. Количественное соотношение постоянно проживающего в Тианети населения к эмигрантам составляет 7.43:1. У нас нет соответствующих данных по другим регионам Грузии, но у нас есть возможность сравнить их, например, с Мексикой и Филиппинами, которые известны как страны с высоким уровнем эмиграции. В 4% домохозяйств мексиканского штата Пуэбла хотя бы один член семьи живет и работает в США, а 3% домохозяйств получает денежную помощь от эмигрантов (9). В 2000 году в 17% домохозяйств на Филиппинах был хотя бы один эмигрант, а для 6.2% домохозяйств денежные переводы эмигрантов составили основную статью семейного бюджета (3: 136-137). Следовательно, у нас есть основания считать, что 28% домохозяйств Тианети, члены которых находятся за границей,

---

<sup>51</sup> Перепись населения Тианети была проведена в рамках исследовательского гранта Кавказского Исследовательского Ресурсного Центра – Грузия (CRRRC).

<sup>52</sup> Во время государственной переписи 2002 года в Тианети было зафиксировано 3598 жителей (1: 47).



представляет собой весьма высокий показатель эмиграции; аналогично, высоким показателем следует считать 20% домохозяйств поселка, которые получают денежную помощь от эмигрантов (см. далее).

В Таблице 1 представлено распределение эмигрантов из Тианети по странам эмиграции, среди которых с очень большим отрывом лидирует Греция.

*Таблица 1.*

**Распределение эмигрантов из Тианети по странам эмиграции (%)**

<i>Страна эмиграции</i>	<i>%</i>
Греция	59
Ирландия	9
Германия	8
Израиль	5
Россия	4
США	4
Италия	4
Испания	2
Франция	2
Другие страны (Азербайджан, Бельгия, Великобритания, Кипр, Китай, Турция, Швейцария, Швеция, Украина)	3
<b><i>Всего:</i></b>	<b>100</b>

Информацию, приведенную в этой Таблице, подтверждают статистические данные, согласно которым отличительной характеристикой эмиграции из региона Мцхета-Мтианети является ее направленность в первую очередь на страны Западной Европы и США (2: 45). Только 4% эмигрантов из Тианети живет и работает в России, что кардинально отличается от общего характера эмиграции из Грузии, которая до последнего времени все же была направлена преимущественно на Россию (6: 48).

## Денежные переводы

В условиях тяжелого экономического положения, в котором находится население Грузии, денежные переводы трудовых эмигрантов членам своих семей стали весьма важным, если не единственным способом выживания для многих семей, и Тианети не является исключением.

Главная цель, из-за которой большинство эмигрантов из Тианети уезжает на заработки за границу, заключается в том, чтобы оказать материальную помощь своим семьям в Тианети – 71% эмигрантских домохозяйств, т.е. 20% всех домохозяйств Тианети с разной периодичностью, в разном объеме, для разных целей, но все-таки получает материальную помощь от членов своих семей, работающих за границей.

Сумма денег, переведенных в Грузию трудовыми эмигрантами, растет с каждым годом. Так, в 2000 году официально были зарегистрированы переводы на сумму 53 миллиона долларов США. В прошлом году официально зарегистрированные денежные переводы составили 5% ВВП Грузии. В течение первых 9 месяцев 2006 года только по официальным каналам было переведено 269 миллионов долларов США.<sup>53</sup> Это, как мы уже отметили, официальные данные; сколько составляет сумма денег, переведенных по неформальным каналам, остается объектом спекуляций. Хотя рост объема переводов можно отчасти объяснить развитием банковской сети в Грузии и удешевлением тарифов компаний, занимающихся денежными переводами, вряд ли он объясняется лишь этими факторами.

---

<sup>53</sup> Информация получена от вице-президента Национального Банка Грузии Давида Амаглобели.

Как видно из Таблицы 3, 2/3 тианетских эмигрантов, которые помогают своим семьям, делают это весьма регулярно – примерно раз в месяц или раз в 2-3 месяца.

Таблица 3.

**Частота денежных переводов тианетских эмигрантов (%)<sup>54</sup>**

	%
примерно раз в месяц или чаще	29
примерно раз в 2-3 месяца	40
примерно 3-4 раза в год	18
примерно 1-2 раза в год	13
<i>Всего:</i>	<b>100</b>

Перевод денег совершается с использованием разнообразных каналов. В случае Греции, где находится большинство эмигрантов из Тианети, налажена весьма действенная связь непосредственно между Тианети и Афинами: еженедельный автобус везет эмигрантам письма и/или посылки из дома, а из Греции привозит деньги, письма и/или посылки; при этом послать только письмо можно бесплатно, а передача денег через водителя автобуса обходится всего в 5% от суммы перевода, что гораздо ниже процентных ставок фирм, занимающихся денежными переводами. Если речь идет о незначительных суммах (до 50 евро), некоторые эмигранты вкладывают деньги в письма – как правило, все доходит до адресата и случаев пропажи денег нет. Подобный сервис очень удобен, учитывая, что в Тианети есть всего одно отделение одного из грузинских банков, которое, однако, не оборудовано необходимой техникой для выплаты денежных переводов, сделанных через систему Western Union, Anelik, Contact,

<sup>54</sup> Эта и последующие таблицы посчитаны только для тех домохозяйств, которые получают материальную помощь из-за границы.

MoneyGram и пр. Для получения таких переводов жителям Тианети приходится ехать в Тбилиси (а это 2 часа езды в один конец и дополнительные расходы на дорогу).

В случае других стран (Ирландии, Италии, США, Германия) официальные каналы денежных переводов более востребованы, хотя в целом значительная часть переводов все же осуществляется неформальным способом.

В Таблице 4 представлена информация о каналах пересылки денег, которыми пользуются тианетские эмигранты.

*Таблица 4.*

**За последние 12 месяцев каким образом член вашей семьи, который находится за границей, пересылал вам денежную помощь?<sup>55</sup>**

	<i>N</i>	<i>%</i>
банковские переводы	39	19
денежные переводы (Western Union, Anelik, Contact, MoneyGram)	54	26
привозил(а) лично	2	1
через знакомых / друзей / родственников	25	12
через курьера / агента / водителя автобуса	120	57
затрудняюсь ответить	2	1
<i>Всего:</i>	242	116

74% семей, получающих материальную помощь из-за границы, склонны считать, что их материальное положение улучшилось после эмиграции члена их семьи. Показательна разница в оценке того, насколько изменилось материальное положение семьи, в зависимости от того, насколько регулярна получаемая ими денежная помощь (Таблица 5). Аналогично, оценка того, как изменилось материальное положение семьи,

<sup>55</sup> На этот вопрос можно было дать несколько ответов.

меняется в зависимости от того, какова средняя сумма, полученная семьей от «своего» эмигранта.

*Таблица 5.*

### **Как изменилось материальное положение Вашей семьи ... ?**

(в % к соответствующей группе)

	<b>регулярно получают денежные переводы (мин. раз в 2-3 месяца)</b>	<b>денежные переводы получают время от времени (3-4 раза в год и реже)</b>
<b>улучшилось</b>	84	52
<b>не изменилось</b>	16	40
<b>ухудшилось</b>	-	5
<b>затруднились ответить</b>	-	3

Несмотря на то, что за последние 12 месяцев средняя сумма денежных переводов на одно домохозяйство Тианети, получающее помощь от своего эмигранта, составила 1320 евро, она довольно сильно различается по странам эмиграции. Эмигранты, находящиеся в Ирландии, лидируют в среднем с 1995 евро в год; затем следуют эмигранты, находящиеся в Израиле, с 1772 евро; и в среднем 1224 евро посылали эмигранты из Греции. Учитывая, что, например, в Греции средний месячный доход эмигрантов, ухаживающих за престарелыми и детьми, составляет примерно 700-800 евро в месяц, получается, что они высылают своим семьям до 15% своего годового дохода.

Таким образом, можно посчитать, что в течение последних 12 месяцев общая сумма денежных переводов Тианетских трудовых эмигрантов составила не менее 280 тысяч евро.

### **Назначение денежных переводов**

Неудивительно, что денежные переводы трудовых эмигрантов составляют важную часть бюджета семей

эмигрантов. Показательно, что среднемесячный доход этих семей (296 лари) более чем в два раза больше, чем среднемесячный доход семей без эмигрантов (133 лари).

Полученная денежная помощь в основном тратится на так называемое «непродуктивное потребление» – в этом смысле семьи эмигрантов из Тианети ничем не отличаются от большинства семей эмигрантов во всем мире (11: 63; 5: 89). В Таблице 6 представлены основные статьи расходов тианетских семей, получающих помощь из-за границы, в сравнении с тем, на какие нужды предназначалась эта помощь. Как видно из этой Таблицы, практически нет отличий между реальным потреблением и тем, для каких целей была предназначена высланная финансовая помощь.

Покупка недвижимого имущества представляет собой одну из наиболее популярных в Тианети «инвестиций» – в случае успешной эмиграции эмигранты наиболее часто ремонтируют или покупают дома в Тианети, приобретают квартиры в Тбилиси, которые затем часто сдаются в аренду и используются как источник дополнительного дохода.

*Таблица 6.*

**За последние 12 месяцев, для чего предназначалась, и на что была потрачена финансовая помощь, полученная от находящегося за границей члена вашей семьи?<sup>56</sup> (%)**

	<b>была предназначе на</b>	<b>была потрачена</b>
покупка предметов первой необходимости, продуктов питания, одежды	36	37
лечение	17	18

<sup>56</sup> В Таблице приведены только те варианты ответов, которые были названы минимум 2%-ми опрошенных.

выплата долга	14	14
покупка / ремонт / строительство дома	9	8
расходы, связанные с получением образования	8	7
расходы, связанные с ведением сельского хозяйства	4	5
покупка бытовой техники	3	3
аренда земли / аренда квартиры	2	2
покупка автомобиля	2	2

Денежные переводы, которые получают жители Тианети, практически не инвестируются в промышленность. Только в трех домохозяйствах (что составляет менее 1% домохозяйств с эмигрантами) эти деньги были использованы с целью начала предпринимательской деятельности; следовательно, они оказывают весьма скромный эффект на развитие экономики Тианети.

Хотя очевидно, что для развития экономики гораздо важнее объем производственных инвестиций, чем объем потребления, именно на потребление тратится большая часть денежных переводов, что вызвано довольно низким уровнем жизни семей эмигрантов, для которых на данном этапе более важным является удовлетворение базовых потребностей своих членов.

Вместе с тем, несмотря на то, что макро-экономический эффект от денежной помощи, которая тратится на потребление, весьма небольшой, экономисты говорят и о положительном «множительном эффекте» (10: 32) непродуктивного потребления, который все же оказывает благотворную роль на развитие экономики. Примером множительного эффекта можно считать рост объема потребления, следовательно – торговли; инвестиции в недвижимость и/или ремонт домов; расходы на образование, здравоохранение и т.д.; все это выражается в росте объема продаж, в возникновении и развитии сферы

обслуживания, в росте занятости, и даже в росте заработной платы.

### **Заключение**

Денежные переводы трудовых эмигрантов жизненно важны для элементарного выживания многих семей в Тианети. Их значительная часть доходит до своих адресатов по неформальным каналам и тратится на повседневное потребление, что вызвано не только низким уровнем жизни населения, для которого первичным на данном этапе все же является удовлетворение первичных потребностей, но и крайней ограниченностью инвестиционных возможностей в поселке и отсутствием предпринимательских знаний и навыков среди местного населения.



## Библиография:

1. საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი. *მოსახლეობის რიცხოვნობა და განსახლება*. <http://www.statistics.ge/files/georgian/census/2002/mosaxleobis%20ricxovnoba%20da%20gansaxleba.pdf> (საიტის მონახულების ბოლო თარიღი: 5 დეკემბერი, 2006 წ.)
2. წულაძე გიორგი. 2005. *ემიგრაცია საქართველოდან 2002 წლის მოსახლეობის აღწერის მონაცემების მიხედვით*. თბილისი: კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრი (CRRC).
3. Bagasao I.F. 2005. "Migration and Development: The Philippine Experience". Pp. 133-142 in: Maimbo, Samuel Munzele and Dilip Ratha, eds. *Remittances: Development Impact and Future Prospects*. Washington, D.C.: World Bank.
4. Bielefeld, Norbert and Antonique Koninh. 2005. "International Remittances: Delivering Fair Value". Pp. 193-208 in: Maimbo, Samuel Munzele and Dilip Ratha, eds. *Remittances: Development Impact and Future Prospects*. Washington, D.C.: World Bank.
5. Chimhowu, Admos O., Jenifer Piesse, and Caroline Pinder. 2004. "The Socioeconomic Impact of Remittances on Poverty Reduction". Pp. 83-102 in: Maimbo, Samuel Munzele and Dilip Ratha, eds. *Remittances: Development Impact and Future Prospects*. Washington, D.C.: World Bank.
6. Dershem, Larry and Tea Khoperia. 2004. *The Status of Households in Georgia*. Final Report. Tbilisi: USAID, Save the Children, IPM.
7. Labbate, Gabriel, Levan Jamburia and Guram Mirzashvili. 2004. *Improving Targeting of Poor and Extremely Poor Families in Georgia: The Construction of Poverty Maps at the District Level*. <http://www.undp.org.ge/news/Targeting-ENG.pdf> (Last accessed: December 5, 2006).

8. Orozco, Manuel. 2005. "Transnationalism and Development: Trends and Opportunities in Latin America". Pp. 307-330 in: Maimbo, Samuel Munzele and Dilip Ratha, eds. *Remittances: Development Impact and Future Prospects*. Washington, D.C.: World Bank.
9. Pollock, Candace. 2006. A Snapshot of Migration: How one Mexican village is benefiting from its impacts. <http://www.ag.ohio-state.edu/~news/story.php?id=3687>. (Last accessed: December 5, 2006).
10. Ratha, Dilip. 2005. "Worker's Remittances: An Important and Stable Source of External Development Finance". Pp. 19-52 in: Maimbo, Samuel Munzele and Dilip Ratha, eds. *Remittances: Development Impact and Future Prospects*. Washington, D.C.: World Bank.
11. Sander, Cerstin and Samuel Munzele Maimbo. 2004. "Migrant Remittances in Africa: A Regional Perspective". Pp. 53-80 in: Maimbo, Samuel Munzele and Dilip Ratha, eds. *Remittances: Development Impact and Future Prospects*. Washington, D.C.: World Bank.

**ROLE OF REMITTANCES OF LABOR EMIGRANTS  
FROM TIANETI: CONSUMPTION vs. INVESTMENTS**

(Abstract)

The paper investigates role of remittances of labor migrants from a small Georgian migrant-sending community, Tianeti. The data have been collected during the household census conducted in August – September, 2006, funded by CRRC (Caucasus Research Resource Center – Georgia) grant. 28% of 1062 households reported to have at least one emigrant, with 71% of these households getting remittances. Although amount and regularity of remittances vary, we estimate that 280000 Euro have been sent by Tianeti labor emigrants during the last 12 months.

Worldwide, remittances of labor migrants sent to their families left behind constitute an important source of income for these, generally impoverished families. The same is true in case of Tianeti population. Here, almost the whole amount of remittances is being spent on consumption. In relatively few cases when emigrants or their family members invest the money, they buy or renovate houses/apartments. Only 3 households reported to have started their own businesses.

This can easily be explained by high level of impoverishment of the population, and by lack of entrepreneurial skills. However, this might create remittance-dependency, is macro-economically inefficient, and does not promote economic growth in the sending countries.

## აჭარის მოსახლეობის სტაციონარული მიგრაცია: ინტენსივობა და ძირითადი მიმართულებანი

მოსახლეობის ბოლო ორ აღწერათაშორის პერიოდში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მოსახლეობის აბსოლუტური რიცხოვნობა შემცირდა 16876 კაცით და 2002 წელს 1989 წელთან მიმართებაში მხოლოდ 95,7% შეადგინა. კლება მთლიანად განსაზღვრულია აჭარის ფარგლებს გარეთ მოსახლეობის მიგრაციით (როგორც საზღვარგარეთ, ისე ქვეყნის სხვა რეგიონებში). თუ ზემოაღნიშნულ ციფრს (16,9 ათასი) დავუმატებთ აღწერებს შორის აჭარის მოსახლეობის ბუნებრივ მატებას (40,5 ათასი კაცი), მივიღებთ, რომ აღწერათაშორის პერიოდში აჭარაში მიგრაციული კლება ყოფილა 57,4 ათასი კაცი. როგორც მასალის ანალიზი ცხადყოფს, მიგრაციული კლება, ძირითადად, ემიგრაციული პროცესების გამო მოხდა. აჭარიდან საზღვარგარეთ მუდმივ საცხოვრებლად წავიდა 50 ათასზე მეტი კაცი, ანუ მთელი მოსახლეობის 13,1%.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ემიგრაციულ ნაკადებში მაღალი იყო არაქართველი მოსახლეობის ხვედრითი წონა, რამაც მნიშვნელოვნად განსაზღვრა აჭარის მოსახლეობაში ქართველთა წილის ნახტომისებრი მომატება: 82,8%-დან 93,4%-მდე. ცხადია, ჩვენ არ გვავიწყდება იქ მცხოვრებ ძირითად ეროვნულ უმცირესობებთან შედარებით აჭარის ქართველ მოსახლეობაში შემორჩენილი უფრო დიდი ბუნებრივი მატების მაჩვენებელიც.

1989–2002 წწ. ემიგრაციის გამო აჭარაში რუსების რიცხოვნობა შემცირდა 3,3–ჯერ, სომხებისა – 1,8–ჯერ, ბერძნებისა – 3,4–ჯერ, უკრაინელებისა – 6,6–ჯერ, აზერბაიჯანელებისა – 2–ჯერ და ა.შ. მაშინ როცა, ქართველთა რიცხოვნობამ, პირიქით, 26,3 ათასით (6,9%) მოიმატა. ამრიგად, გარე მიგრაციული

პროცესების შედეგად მოსახლეობა უფრო მონოეთნიკური გახდა. საკმარისია, აღინიშნოს, რომ ნახევარი საუკუნის წინ აჭარის მოსახლეობაში ქართველები მხოლოდ 72,8% იყვნენ (1959 წ.), ხოლო ბათუმში – ნახევარზე ნაკლებნი (48,8%).

თუ ვიმსჯელებთ 2002 წლის მოსახლეობის აღწერის მასალების მიხედვით, აჭარიდან ემიგრირებულთა 56,4% რუსეთის ფედერაციაზე მოდის, 27,3% – საბერძნეთზე, 3,8% – უკრაინაზე, 2,1% – აშშ-ზე, 2,4% – გერმანიაზე და ა.შ.

ისევე, როგორც მთლიანად საქართველოსთვის, აჭარისთვისაც მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს მოსახლეობის გადაადგილების ძირითადი ტენდენციების გამოვლენას როგორც აჭარის შიგნით რაიონებსა და ქალაქებს შორის, ისე მიგრაციული კავშირების დადგენას საქართველოს სხვა რეგიონებთან. ამ მხრივ აჭარას სპეციფიკა გააჩნია. უნდა აღინიშნოს, რომ მთიანი აჭარის სწრაფი ბუნებრივი მატება, რომელიც ბოლო წლებამდე იყო დამახასიათებელი, ქმნის ამ ზონაში ე.წ. ჭარბ შრომით რესურსებს, რომელთა ადგილზე სრულად დასაქმება შეუძლებელია ადგილობრივი სასოფლო-სამეურნეო სავარგულების სიმცირის გამო. როგორც გამოკვლევებშია აღნიშნული, ოჯახის გაყოფით გამოწვეული მოთხოვნა საკარმიდამო ფართზე იმდენად დიდი იყო, რომ შეუძლებელი ხდებოდა მათი ჯეროვანი დაკმაყოფილება. ამას გარდა, ბოლო ნახევარი საუკუნის მანძილზე აჭარისათვის დამახასიათებელი ეკოლოგიური კატასტროფების – ღვარცოფების, მეწყერების და ეროზიული პროცესების შედეგად აჭარის მთიანეთში წაილევა 11,5 ათასი ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო სავარგული. მარტო 1989 წლის აპრილის ტრაგედიის შედეგად მთლიანად დაინგრა ან ცხოვრება შეუძლებელი გახდა 1196 სახლში, დაიკარგა 3250 ჰა მიწა. ამ დროს 2 ათასზე მეტი ოჯახი გაყოფას ექვემდებარებო-

და და თხოულობდა დამატებით მიწის ნაკვეთს<sup>57</sup>. ერთი მხრივ, საცხოვრებელი სივრცის კატასტროფული შემცირება, მეორე მხრივ, საკარმიდამო მიწაზე მოთხოვნის სწრაფი ზრდა ქმნიდა წინაპირობებს მთიანი აჭარის რაიონებიდან სხვა რაიონებში მოსახლეობის გადასანაწილებლად.

როგორც მოსახლეობის ბოლო, 2002 წლის აღწერის მასალების ანალიზით ირკვევა, აჭარის მიგრაციული კავშირები საქართველოს სხვა რეგიონებთან განსხვავებული მიგრაციული ინტენსიურობით ხასიათდება. მოსახლეობის გაცვლის თვალსაზრისით ყველაზე დიდი ინტენსიურობა აჭარას გურიის მხარესთან აქვს (ცხრილი 1) როგორც წასული, ისე აჭარაში შემოსული ნაკადის მესამედი გურიაზე მოდის.

*ცხრილი 1*

**აჭარის მიგრაციული კავშირები საქართველოს სხვა რეგიონებთან<sup>58</sup>**

რეგიონები \ მოსახლეობა	აჭარაში დაბადებული ცხოვრობს სხვა რეგიონში		საქართველოს სხვა რეგიონში დაბადებული ცხოვრობს აჭარაში		საღდო
	კაცი	%	კაცი	%	
თბილისი	9094	24,3	2674	9,0	-6420
აფხაზეთი	1	0,0	6281	21,1	+6280
გურია	12109	32,2	10245	34,3	-1864
იმერეთი	4108	11,0	5372	18,0	+1264
კახეთი	2120	5,7	482	1,6	-1638
მცხეთა-მთიანეთი	160	0,5	131	0,4	-29
რაჭა-ლეჩხუმ-ქვ. სვანეთი	149	0,4	420	1,4	+271
სამეგრელო ზემო	2009	5,4	2157	7,2	+148

<sup>57</sup> ფუტკარაძე თ. თანამედროვე მიგრაციული პროცესები აჭარის მთიანეთში. ბათუმი, თამარიანი. 1996. გვ.21.

<sup>58</sup> ცხრილი შედგენილია საქართველოს მოსახლეობის 2002 წლის პირველი ეროვნული საყოველთაო აღწერის შედეგების საფუძველზე. ტ.III, ნაწ.II – მოსახლეობის მიგრაცია. თბილისი, 2004. გვ.181-183.

სვანეთი					
სამცხე-ჯავახეთი	3144	8,4	1044	3,5	-2400
ქვემო ქართლი	3443	9,2	303	1,0	-3140
შიდა ქართლი	861	2,3	731	25	-130
სულ	37498	100	29840	100	-7658

სავსებით ბუნებრივია თბილისთან მოსახლეობის მიმოცვლის დიდი უარყოფითი ბალანსი, შეფარდება ნაკადებს შორის უდრის 3,4:1. აფხაზეთთან მიმართებაში აბსოლუტურად დადებითი სალდო გამოიწვეულია აფხაზეთის ცნობილი მოვლენების გამო იძულებით გადაადგილებულ პირთა მრავალათასიანი ნაკადის აჭარაში შემოსვლით. რაც შეეხება სამცხე-ჯავახეთს, ქვემო ქართლს, კახეთს, ამ მხარეებთან მიგრაციული კავშირები ორგანიზებული მიგრაციის ფორმით ჩამოყალიბდა.

ვფიქრობთ, რომ მიგრაციის აღრიცხვა და, შესაბამისად, აბსოლუტური მაჩვენებლები, შესაძლოა, ზუსტი არც იყოს, მაგრამ მიგრაციის მიმართულებებისა და ნაკადთა თანაფარდობების, მთლიანი ნაკადის სტრუქტურის დასადგენად იგი კარგი მასალაა. მაგალითად, აშკარად ჩანს, რომ მთიანი აჭარის მოსახლეობის ჩამოსახლება მიმდინარეობს გურიის მხარეში, სანაცვლოდ კი გურიის მოსახლეობის ნაწილი გადადის საცხოვრებლად აჭარის ზღვისპირეთში და, მათ შორის, ქალაქ ბათუმში.

მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს აღწერებისას მოსახლეობის აღრიცხვას დაბადების ადგილის მიხედვით. ამ დროს ნათლად გამოიკვეთება ის ნაწილი, ვინც შეიცვალა საცხოვრებელი დასახლებული პუნქტი (რაიონი) თავიანთი სიცოცხლის მანძილზე (მიგრირდნენ). ამით კარგად ვლინდება ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში მიგრაციის მიმართულებანი და ნაკადთა ინტენსიურობაც. ამის მიხედვით დადგინდა, რომ თვით აჭარის ამჟამინდელი იქ მცხოვრები მიგრირებული მოსახლეობის უმეტესი ნაწილი – 59,1% აჭარაში შიგარაიონულად გადაადგილებულნი არიან, ყველაზე დიდი ნაკადი კი შე-

მოსულია გურიის მხრიდან (11%), დსთ ქვეყნებიდან (8,5%) და აფხაზეთიდან (6,7%).

აჭარის გარედან მიგრანტებს ყველაზე მეტად ბათუმი და ქობულეთის რაიონები იზიდავს. ბათუმში 2002 წელს მცხოვრებ მიგრანტთაგან ნახევარზე ოდნავ მეტი (50,5%) აჭარის გარედანაა შემოსული, მათ შორის 10,4% დსთ ქვეყნებიდან, 16,2%– გურიიდან, 8%–იმერეთიდან. ბათუმში ამჟამად მცხოვრებ მიგრანტთაგან თვით აჭარაშია დაბადებული 49,5%, ანუ ისინი მიგრირებულნი არიან შიგა გადაადგილების შედეგად.

დიდი შიგარეგიონული გადაადგილებანი შეიმჩნევა ხელვაჩაურის რაიონში ამჟამად მცხოვრებ მიგრანტებში, მათი 79,4% აჭარაშია დაბადებული, ხოლო ქობულეთის რაიონში შედარებით მეტად იგრძნობა გარემიგრანტთა შემოსვლა (აჭარაში დაბადებულ მიგრანტთა 45,1%).

მიგრაციის შიგარეგიონული ანალიზი გვიჩვენებს, რომ ათეული წლების განმავლობაში მიმდინარეობდა აჭარის მოსახლეობის შიგამიგრაციული გადანაწილების პროცესი, რომლის მთავარი მიმართულებები იყო მთიანი აჭარის სწრაფი ბუნებრივი ზრდის გამო ზღვისპირა აჭარაში, მათ შორის, ქ. ბათუმში ჩამოსახლება. აჭარის მთიან რაიონებში უკუმიგრაციული ნაკადები სუსტია, რაც სავსებით ბუნებრივია. მიმდინარეობს ურბანიზაციის პროცესი, თუმცა სოფლის მოსახლეობის შედარებით დიდი ბუნებრივი მატების ფონზე მას ისეთი კატასტროფული დემოგრაფიული შედეგები არ მოჰყოლია, როგორც საქართველოს სხვა რეგიონებს ახასიათებს.

აჭარის მოსახლეობის მიგრაციაში განსაკუთრებით გვინდა გამოვყოთ ორგანიზებული მიგრაცია. იგი ყოველთვის იყო საქართველოს ხელისუფლების მეტ-ნაკლები ზრუნვის საგანი და ამჟამადაც სათანადო ყურადღება აქვს დათმობილი. მიგრაციის ამ სახეს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა როგორც აჭარისთვის, ისე მთელი საქართველოსთვისაც. როგორც მ. ტუხაშვილი აღნიშნავს, „ეთნიკური განსხვავებით ჩამოყალიბებუ-



ლი მოსახლეობის მატების სხვადასხვა ტემპი და სამუშაო ძალაზე მოთხოვნის რეგიონული განსხვავებანი ყოველთვის წინა პლანზე აყენებდა მიგრაციის მართვის ამოცანებს, კერძოდ, მოსახლეობის ორგანიზებული გადანაწილების საკითხს, რაც ტოტალიტარული სახელმწიფო მართვის პირობებში შედარებით ადვილი იყო. ისინი პასუხობდა კონკრეტულ მიზნებსაც და განსახლების სრულყოფის საერთო სტრატეგიასაც<sup>59</sup>. აქვე იგი ეხება 80-იანი წლების საქართველოს სხვადასხვა რეგიონში აჭარიდან ორგანიზებული ჩასახლების კონკრეტულ მიზნებს და აღნიშნავს, რომ შრომითი რესურსების გადანაწილების მიზანი იყო: ა) არასწორი მიგრაციული პოლიტიკის გამო ლიკვიდაციამდე მისული დასახლებული პუნქტების აღორძინება ბ) დიდი სასოფლო-სამეურნეო რესურსების მქონე რაიონების ინტენსიური ათვისების დაჩქარება გ) სხვადასხვა რეგიონის ეთნობალანსის სრულყოფა დ) სტიქიური უბედურების ზონებიდან მოსახლეობის გამოყვანა<sup>60</sup>.

თ. ფუტკარაძე და მ. ფუტკარაძე, რომლებმაც გამოიკვლიეს თანამედროვე მიგრაციული პროცესები აჭარის მთიანეთში, ახასიათებენ 1971–1990 წწ. აჭარის მთიანეთიდან აჭარის ზღვისპირეთსა და საქართველოს სხვა რეგიონებში ორგანიზებულ ჩასახლებებს (ცხრილი 2).<sup>61</sup>

როგორც აღნიშნული მასალის ანალიზი გვიჩვენებს, ბოლო 35 წლის განმავლობაში მეტ-ნაკლები ინტენსიურობით მიმდინარეობდა აჭარის მთიანეთიდან მოსახლეობის ორგანიზებული ჩასახლების პროცესი, იგი განსაკუთრებით ინტენსიურია 1989 წლის აპრილის კატასტროფის შემდგომ. მართალია,

---

<sup>59</sup> ტუხაშვილი მ. საქართველოს შრომითი პოტენციალი. თსუ გამომცემლობა, თბილისი, 1998. გვ.137.

<sup>60</sup> იქვე, გვ.138.

<sup>61</sup> ფუტკარაძე მ. მთიანი აჭარის მოსახლეობის ეკონომიკურ-გეოგრაფიული პრობლემები. ბათუმი, «აჭარა», 1996. გვ.60. ფუტკარაძე თ. თანამედროვე მიგრაციული პროცესები აჭარის მთიანეთში. ბათუმი, თამარიანი. 1996.

საქართველოში 1990–იან წლებში დატრიალებულმა მოვლენებმა, ეკონომიკურმა და სოციალურმა კრიზისმა საშუალება არ მისცა, სრულად განხორციელებულიყო ორგანიზებულ ჩასახლებათა პროცესი, მაგრამ მცირე ინტენსიურობით იგი ამჟამადც მიმდინარეობს და უდიდესი მნიშვნელობა აქვს არა მარტო აჭარის ეკოლოგიური კატასტროფების შედეგად გადასანაწილებელი მოსახლეობისა და შრომითი რესურსებისათვის, არამედ, კიდევ უფრო მეტად, დემოგრაფიული დეპრესიის რეგიონებისათვის, სადაც სასოფლო–სამეურნეო რესურსებით უზრუნველყოფის მაჩვენებელი ბევრად უმჯობესია.

როგორც ცხრილიდან ჩანს, 1971–1990 წწ. პერიოდში აჭარის მთიანეთიდან აჭარის ზღვისპირეთში ორგანიზებული ფორმით ჩაასახლეს 9,8 ათასი კაცი, ანუ 1971–1990 წწ. მთელი ნაკადის მეოთხედი. დანარჩენი გასულია საქართველოს სხვა რეგიონებში.

განსაკუთრებით მასშტაბური იყო 1989 წ. ეკოლოგიური კატასტროფის შემდგომი მასობრივი ჩასახლება საქართველოს ორ ათეულზე მეტ რაიონში. ძირითადი მასა ხულოსა და შუახევის რაიონებიდან გადავიდა სხვაგან საცხოვრებლად, ნაწილი – ზემოაღნიშნულ დემოგრაფიულად შეთხელებულ რეგიონებში სახლების შესყიდვის, ნაწილი კი – ახალი სახლების აშენების შემდგომ. ბევრგან შეიქმნა ახალი დასახლებები, ზოგან დემოგრაფიულად გაძლიერდა და გაახალგაზრდავდა მოსახლეობის კონტინგენტი, ამავე დროს, ამ რაიონების მეურნეობაში ჩაება ტერიტორიული გადაადგილების შედეგად მომეტებული შრომითი რესურსები. აღსანიშნავია, რომ ჩასახლების პერიოდისათვის ეს რეგიონები განიცდიდნენ სოფლის მეურნეობაში სამუშაო ძალის მნიშვნელოვან ნაკლებობას.

*ცხრილი 2*

**მთიანი აჭარის მოსახლეობის ორგანიზებული მიგრაცია  
1971–1990 წწ. (კაცი)**

	ჩასახლების პერიოდი, წლები					
	1971– 1975	1976– 1980	1981– 1985	1986– 1988	1988– 1990	1971– 1990
აჭარის ზღვის- პირეთი	1883	1528	1705	1582	3092	9780
გურია	2126	2960	2721	1685	3178	12672
იმერეთი	–	–	–	–	1950	1950
ქართლი	176	204	224	268	3095	3967
კახეთი	–	–	188	864	3753	4805
სამცხე	268	305	1076	286	1577	3512
ჯავახეთი	–	–	–	–	287	287
კრასნოდარის მხარე	2	26	105	115	–	248
სულ	4759	5290	6308	5136	17291	38782

სხვადასხვა პერიოდში შესწავლილი იქნა ორგანიზებული მიგრაციის სოციალური და ეკონომიკური ეფექტიანობის საკითხები, მათი სამეურნეო, სოციალური და კლიმატური ადაპტაციის პირობები<sup>62</sup>. როგორც ამ გამოკვლევებიდან ჩანს, ორგანიზებული ჩასახლებები ხასიათდება მაღალი შედეგიანობით და დიდი სოციალურ-ეკონომიკური ეფექტიანობით. აქვე ისიც უნდა შევნიშნოთ, რომ 1990–იანი წლების კრიზისის პერიოდში დაწყებული მასობრივი ჩასახლებების ბოლომდე განხორციელებაში მნიშვნელოვანი შეფერხებები შეიქმნა. რიგი რეგიონებიდან, შექმნილი რთული ვითარების გამო, ადგილი ჰქონდა დიდი მასშტაბის უკუმიგრაციას (მაგალითად, სამეგრელოს რეგიონიდან). თუმცა მთლიანობაში განხორციელებული მასშტაბური ბინათმშენებლობის და ჩასახლებულთათვის, შეძლებისამებრ, ნორმალური საადაპტაციო გარემოს შექმნის პირობებში, მიგრანტთა დამკვიდრების მაჩვენებელი, საშუალოდ, საკმაოდ მაღალი იყო. შინამეურნეობათა ეკონომიკური მდგომარეობა წამოსვლის რეგიონთან შედარებით რამდენჯერმე გაუმჯობესდა.

<sup>62</sup> იხ. მაგალითად, ტუხაშვილი მ. საქართველოს შრომითი პოტენციალი. თსუ, თბილისი, 1998. გვ.137-141.

ამრიგად, აჭარის მოსახლეობისა და შრომითი რესურსების ფორმირებაში განსაკუთრებული ადგილი აქვს ორგანიზებულ მიგრაციას. საფიქრებელია, რომ მცირე ინტენსიურობით იგი მომავალშიც გაგრძელდება. ეს დამოკიდებული იქნება აჭარის მოსახლეობის ბუნებრივი მატების დონეზე, აგრეთვე, აჭარის მთიანეთის ეკოლოგიური დაცვის ღონისძიებათა განხორციელებაზე; მეორე მხრივ კი, საქართველოს ამა თუ იმ რეგიონში შექმნილ დემოგრაფიულ ვითარებაზე.

**STATIONARY MIGRATION OF POPULATION IN AJARA:  
INTENSITY AND MAIN DIRECTIONS**

(Abstract)

Population migration in the Autonomous Republic of Ajara is characterized by a whole range of peculiarities. Compared with other regions of Georgia, it is conditioned by rapid natural increase and the shortage of agricultural arable lands in the Ajara highlands. That has created the excess of population in recent 50 years. For this reason population was redistributed in other regions of Georgia.

The universal crisis, developed in the post-Soviet period, markedly reduced population natural increase in Ajara. A drastic fall in living standards entailed intensive emigration processes. In the period between the 1990 and 2000 census 13.1% of the population permanently emigrated abroad from Ajara. The share of non-Georgian population among emigrants was high. The share of Georgians basically for this reason has increased from 82.2% to 93.4% in the Autonomous Republic. 56.4% of the emigrated from Ajara moved to the Russian Federation, 27.3% - to Greece, 3.8% - Ukraine, 2.1% - the US, 2.4% - Germany and so on.

The intraregional analysis of migration shows that almost for the entirety of the XX century the intensive process of population resettlement took place from the Ajara highlands to the littoral zone. Unlike the other mountainous regions of Georgia, depopulation processes didn't develop in Upper Ajara because of population high fertility and high natural increase.

Because of the situation in the demographic development of Ajara, created in the post-Soviet period, it is conceivable that the Autonomous Republic will lose the function of "demographic

donor” for other regions of Georgia. Therefore it is imperative that the Government pursue active demographic and migration policies.

## მიგრაციის გავლენა საქართველოს მოსახლეობის აღწარმოებაზე

მიგრაცია მნიშვნელოვან როლს თამაშობს მოსახლეობის განვითარებაში. ის ზემოქმედებს მოკვდაობასა და შობადობაზე. იგი ყოველთვის დაკავშირებულია ფიზიოლოგიურ ადაპტაციასთან. მიგრანტთა ცხოვრების პირობების შეცვლამ შეიძლება მათი ჯანმრთელობის მდგომარეობა და, შესაბამისად, მათში მოკვდაობის დონეც შეცვალოს. ცნობილია, რომ ადამიანის ორგანიზმი რეაგირებს 200-300 კმ-ზე გადაადგილებასა და 2-3 გრადუსი ტემპერატურის მომატება-კლებაზე. გარდა ამისა, ახალი ბუნებრივი გარემო ზემოქმედებს ადამიანის ცენტრალურ ნერვულ სისტემაზე, რაც, თავის მხრივ, განაპირობებს მისი შრომისუნარიანობის არასტაბილურობას.

მაგალითად, 1970-იან წლებში ჩატარებულ გამოკვლევების მიხედვით, კავკასიიდან ჩრდილოეთში გადასახლებულთა შრომისუნარიანობა პირველ ხანებში 10-ჯერ ნაკლები იყო, ვიდრე მიმდებარე ტერიტორიებიდან ჩასულებისა. მეცნიერთა დასკვნით, ადამიანები ბევრად არიან დამოკიდებული იმ ბუნებრივ გარემოზე, რომელშიც გაიზარდნენ. მაგალითად, ბარში გაზრდილებს უჭირთ მაღალმთიან რეგიონებში ცხოვრება, ჰორიზონტის ყურებას შეჩვეულები, იქ ჩაკეტილ სივრცეში გრძნობენ თავს. მართალია, საბოლოოდ, მიგრანტთა უმრავლესობა ეჩვევა არსებულ პირობებს, მაგრამ მის ორგანიზმში აღდგენილი ბალანსი ისეთივე სრულფასოვანი არაა, როგორც ძველი. ამასთან, ახალ პირობებში მოქცეული ორგანიზმი უფრო ინტენსიურად მუშაობს და სწრაფად ცვდება, რაც ამოკლებს მის სიცოცხლეს. თუ მიგრანტს ძლიერი იმუნიტეტი არ აქვს, არის რეალური საშიშროება მისი ჯანმრთელობის შერყევისა.

საქართველოში ემიგრაციის პრობლემებზე ჩატარებული 1990-იანი წლების შემდეგდროინდელი გამოკვლევები მიუთითებს, რომ მიგრანტთა უმრავლესობა ვერ შეეგუა კარგად უცხო გარემოს. ეს, ცხადია, ასახვას ჰპოვებდა მათ ჯანმრთელობაზე. მითუმეტეს, თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ ისინი, ძირითადად, არალეგალები არიან. სხვა ქვეყანაში უკანანოდ ცხოვრება კი დამატებით სირთულეებთან, უამრავ სტრესულ მდგომარეობასთან არის დაკავშირებული. და ეს იმ პირობებში (როგორც მკვლევარები მიუთითებენ), როცა შრომით მიგრანტთა მხოლოდ 18%-ს ჰქონდა სამედიცინო დაზღვევა, 61%-ს კი არანაირი სამკურნალო-პროფილაქტიკური შემოწმება არ გაუვლია.<sup>63</sup>

მიგრაცია ცვლის მოსახლეობის სქესობრივ-ასაკობრივ სტრუქტურას, რაც პირდაპირ აისახება საქორწინო სტრუქტურაზე და, შესაბამისად, შობადობაზე.

ტრადიციულად, მიგრანტებში ჭარბობს შრომის ასაკის მოსახლეობა, რომელიც იმყოფება 15-44წწ. ასაკში. განსაკუთრებით, მაღალი იყო ეს მაჩვენებელი დასავლეთ ევროპაში შრომითი მიგრაციის აღმავლობის პერიოდში. მაგალითად, 1972 წელს გერ-ში 20-45 წლისა იყო უცხოელ მამაკაცთა 61%. საქართველოში კი ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევით, შრომით ემიგრანტებში 48% 26-45წწ. ასაკობრივი ჯგუფია.

მსოფლიოში თანამედროვე მიგრაციული პროცესებისათვის ქალთა წილის ზრდაა დამახასიათებელი. რიგ ეთნიკური ჯგუფებში ქალთა წილი მამაკაცებისას ჭარბობს. მაგალითად, ხორვატიიდან გერმანიაში ჩასულებს შორის 73% ქალია<sup>64</sup>, საქართველოში გარე შრომით მიგრანტთა შორის ქალი 40%-ია.

---

<sup>63</sup> შრომითი მიგრაცია საქართველოდან. თბ., 2003. გვ.54-55.

<sup>64</sup> Цапенко И. Роль иммиграции в экономике развитых стран. Демоскопе Weekly, 1207-208,2005



ზოგადად, მიგრანტთა მობილობა ბოლო აღწერათაშორის პერიოდში ცალკეული ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით თითქმის არ შეცვლილა (ცხრილი 1).

*ცხრილი 1*

**მოცემულ ადგილზე 2 წელზე ნაკლები დროით მცხოვრებ მიგრანთა განაწილება ასაკის მიხედვით 1989-2002წწ.(%)**

წელი	შრომის ასაკმდეელი	შრომის ასაკის	შრომის ასაკგადაცილებული
1989	17,8	77,2	5,0
2002	19,0	76,0	5,0

მოსახლეობის აღწერამ გამოავლინა, რომ საქართველოში მცხოვრებ მსხვილ ეთნიკურ ჯგუფთაგან აზერბაიჯანელები ნაკლებმობილურნი არიან და ყველაზე ნაკლებად მონაწილეობენ მიგრაციულ პროცესებში (ცხრილი 2). აღწერის მიხედვით, მიგრანტებში მათი წილი 1,3%, მაშინ, როცა მთელ მოსახლეობაში 6%-ს შეადგენს.

*ცხრილი 2*

**მოსახლეობის განაწილება მუდმივ საცხოვრებელ ადგილზე ცხოვრებისა და ეროვნების მიხედვით 2002წ.(%)**

მუდმივ საცხოვრებელ ადგილზე განუწყვეტლივ ცხოვრობს	ქართველი	აზერბაიჯანელი	სომეხი	რუსი	ოსი	იეზიდი	ბერძენი	ქისტები	უკრაინელი	აფხაზი
დაბადებიდან	67,5	91,7	85,6	53,0	64,0	86,0	76,0	89,0	31,0	66,0
არადაბადებიდან	32,5	8,3	14,4	47,0	36,0	14,0	24,0	11,0	69,0	34,0

ეს კი მიუთითებს იმაზე, რომ რაკილა კომპაქტურად არიან დასახლებულნი, მათი ინტეგრაცია ადგილობრივ მოსახლე-

ობასთან ძალზე შენელებულია. ისინი ცდილობენ, იყვნენ იქ, სადაც ენა, რწმენა და ტრადიციები აზერბაიჯანულია. დღეს-დღეობით საქართველოში ეს ერთადერთი ეთნიკური ჯგუფია, რომლისთვისაც, ექსპერტთა შეფასებებით საგრძნობი ბუნებრივი მატებაა დამახასიათებელი (2005წ\_11,7%)<sup>65</sup>, რაც ბუნებრივია, გასათვალისწინებელია როგორც მოსახლეობის განსახლების ღონისძიებების, ისე სოციალური პოლიტიკის შემუშავებისას.

აღსანიშნავია ისიც, რომ დაბადებიდან საცხოვრებელი ადგილი არ შეუცვლია ქალაქის მოსახლეობაში 63%-ს, სოფლის მოსახლეობის\_ 80%-ს. საცხოვრებელ ადგილს უფრო მეტად იცვლის ქალი, ვიდრე მამაკაცი, რაც უმეტესად ქორწინებასთანაა დაკავშირებული. ყველაზე ნაკლებმობილური ჯგუფი ხანდაზმულებია. როგორც 1980-იან, ისე 1990-იან წლებში მიგრანტებში, რომლებიც მოცემულ ადგილზე 2 წელზე ნაკლები დროით ცხოვრობენ, მათი წილი არ შეცვლილა და 5%-ია (ცხრილი1). მათი უმრავლესობა ქალია.

საბოლოოდ, 2002 წლის აღწერით, საქართველოს მოსახლეობის 1/3 განუწყვეტლივ ცხოვრობს მუდმივ საცხოვრებელ ადგილზე.

ტრადიციულად, მიგრანტებზე ზეგავლენას ახდენს დემოგრაფიული ქცევის ადგილობრივი ნორმები, ამასთან, მიგრანტებს ახალ საცხოვრებელ ადგილზე ჩააქვთ დემოგრაფიული ქცევის თავისი ნორმები, რითაც ზეგავლენას ახდენენ შობადობის დონეზე მიმღებ ქვეყანაში. მაგალითად, შვეიცარიაში უცხოელთა ოჯახებზე მოდის დაბადებულთა 23%. დიდ ბრიტანეთში დაბადებულთაგან თითქმის ყოველი მეექვსე უცხო-

---

<sup>65</sup> საქართველოს დემოგრაფიული წელიწადეული 2005. (წულადე გ., მაღლაფერიძე ნ., ვადაჭკორია ა.) თბ., საქართველო, 2006. გვ.190.

ელთა ოჯახში იბადება, რაც, საბოლოოდ, ზრდის ამ ქვეყანაში უცხოელთა წილს.<sup>66</sup>

დასავლეთის ქვეყნებში განვითარებადი ქვეყნებიდან გადასახლებულნი პირველ წლებში უფრო მეტ შვილებს აჩენენ, ვიდრე ადგილობრივი მოსახლეობა. მაგალითად, თურქებში, რომლებიც ბოლო წლებში იტალიაში გადასახლდნენ, შობადობის დონე ორჯერ მეტია, ვიდრე იტალიელებში. რა თქმა უნდა, ასეთი სიტუაცია აუმჯობესებს ამ ქვეყნის ასაკობრივ სტრუქტურას, დაბლა სწევს მოსახლეობის საშუალო ასაკს, მაგრამ როგორც ფრანგი მეცნიერი ჟორჟ ტაპინო ამბობს: «იმიგრაციას შეუძლია დროებით შეანელოს მოსახლეობის შემცირების პროცესი, მაგრამ ის ვერ წყვეტს მოსახლეობის დაბერების პრობლემას», რადგან დროთა განმავლობაში ადგილობრივ მოსახლეობასთან ინტეგრაცია და მათი სოციალური სტანდარტების ათვისება იწვევს ამ განსხვავებების წაშლას.<sup>67</sup> გარდა ამისა, მიგრანტს როგორი დემოგრაფიული ქცევაც არ უნდა ახასიათებდეს, სჭირდება დრო და სახსრები ადგილობრივ პირობებთან მოსარგებად, რის გამოც ხდება ბავშვთაშობის გადავადება. ამჟამად საქართველო ემიგრაციული ქვეყანაა, სადაც მოსახლეობა სუსტი დემოგრაფიული ქცევით ხასიათდება. თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ მიგრანტთა უმრავლესობა არაღლეგალია, უნდა ვივარაუდოთ, რომ ამ კონტინგენტისათვის კიდევ უფრო მეტადაა დამახასიათებელი შეკვეცილი აღწარმოება, ვიდრე საქართველოში დარჩენილი მოსახლეობისათვის.

ცნობილია, ისიც, რომ ჩვენი ქვეყნიდან ძირითადი მიგრაციული ნაკადები მიმართულია რუსეთის, საბერძნეთისა და გერმანიისაკენ. ეს ის ქვეყნებია, რომლებსაც საქართველოს მსგავსად დეპოპულაცია ახასიათებთ და შექმნილი ვითარება

---

<sup>66</sup> Цапенко И. Роль иммиграции в экономике развитых стран. Демоскоп Weekly, №207-208, 2005.

<sup>67</sup> იქვე.

არ უბიძგებს შობადობის ზრდისაკენ. მაგალითად, 2005 წელს შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტი რუსეთში 1,4; გერმანია-სა და საბერძნეთში – 1,3-ია<sup>68</sup>, იგივე მაჩვენებელია საქართველოშიც. აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ მიმდებ ქვეყნებში არსებული დემოგრაფიული ქცევა ჩვენი ქვეყნიდან გასულ მიგრანტთა დემოგრაფიულ ქცევას ნამდვილად არ გააუმჯობესებს. გარდა ამისა, არც ჩვენს მიგრანტებს შეუძლიათ შეცვალონ მათი დემოგრაფიული სტრუქტურა, ან რაიმე დემოგრაფიული საფრთხე შეუქმნან მიმდებ ქვეყნებს. ერთი სიტყვით, ქართველობა არ არის დემოგრაფიულად საშიში ეთნიკური ჯგუფი არც ერთი მიმდები ქვეყნისათვის. მეორე მხრივ, დემოგრაფიული საფრთხე შეიძლება შექმნან მრავალრიცხოვანი ერების ეთნიკურმა ჯგუფებმა, (ჩინელები, თურქები, ირანელები, პაკისტანელები), რომლებიც, სავარაუდოდ, ჩვენი სუსტი იმიგრაციული პოლიტიკის წყალობით მყარად შეიძლება დამკვიდრდნენ საქართველოში.

საყოველთაოდ, ცნობილია, რომ ჩინელი მიგრანტები განცალკევებულად ცხოვრობენ და არ ექვემდებარებიან აკულტურაციას. ერთადერთი ქვეყანა, სადაც მათი ასიმილაციის პროცესი ბუნებრივად მოხდა, ტაილანდია.<sup>69</sup> მათ შედინებაზე უკვე კონტროლი დააწესეს დეპოპულაციურმა ქვეყნებმა, მათ შორის, 145 მილიონიანმა ქვეყანამ, რუსეთმა. ბოლო ხანს, მიგრანტთა შედინებასა და იმიგრაციულ პოლიტიკას ყურადღება მიაქცია თვით თურქმენეთის ხელისუფლებამაც, სადაც, ადგილობრივი მოსახლეობის გაფართოებული აღწარმოება. ვეტიქრობთ, მათი სიფრთხილე, საქართველოში არსებული დე-

---

<sup>68</sup> საქართველოს დემოგრაფიული წელიწადეული 2005. (წულაძე გ., მაღლაფერიძე ნ., ვადაჭკორია ა.) თბ., 2006. გვ.197-198.

<sup>69</sup> Гельбрас В.. Китайские хуацяо: политика Пекина. В кн: Мировой опыт миграционной политики: ретроспектива и новейшие тенденции. Москва-Алматы, 2004. с.328.

მოგრაფიული სიტუაციიდან გამომდინარე, გასათვალისწინებელია ჩვენთვისაც.

**Mzia Shelia**

## **IMPACT OF MIGRATION ON POPULATION REPRODUCTION IN GEORGIA**

(Abstract)

The study found that according to the 2002 universal census of the population, the most mobile ethnic groups are Russians and Ukrainians compared with other groups. The least mobile ethnic group in migration processes is Azerbaijanians. According to the census data their share among migrants is just 3%. They are settled compactly and their integration with the local population is proceeding slowly. At the same time, Azerbaijanians represent the only ethnic group characterized by appreciable natural increase. Less mobility and high natural increase create specificity that is to be taken into consideration in working out socio-demographic as well as population settlement policy.

The study shows that Georgians are characterized by weak demographic behavior in both their native country and especially outside the country. The rates of their natural increase are worse than the same indicators of the countries receiving immigrants (Russia, Germany, Greece) and due to this they don't pose a demographic threat to those countries. On the other hand, due to the weak immigration policy, Georgia can find itself under demographic threat, considering the immigration potential of many eastern countries (China, India, Pakistan, Turkey and others) which are growing demographically. This, in turn, requires the

government to work out the correct migration policy. The current migration policy of Georgia is very weak and properly doesn't take account of the impact of migration on future demographic development.

### კრებულის ავტორები

1. **მირიან ტუხაშვილი.** ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის «შრომის ეკონომიკის» პროგრამის ხელმძღვანელი, თსუ მიგრაციის კვლევის ცენტრის მეცნიერ-ხელმძღვანელი, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.
2. **ირინა მოლოდიკოვა.** ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტის პროფესორი (ბუდაპეშტი, უნგრეთი).
3. **ვლადიმერ მუკომელი.** რუსეთის ფედერაციის მეცნიერებათა აკადემიის სოციოლოგიის ინსტიტუტის მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი, სოციოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

4. **ლოუდმილა ტიხონოვა.** ბელორუსიის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტის მენეჯმენტის კათედრის პროფესორი. ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.
5. **ელენა მასლენკოვა.** შრომისა და სოციალურ ურთიერთობათა საერთაშორისო უნივერსიტეტის (ბელორუსია) უფროსი მასწავლებელი.
6. **დავით აბულაძე.** ფრანგულენოვანი პრესის საერთაშორისო კავშირის წევრი, თსუ მიგრაციის კვლევის ცენტრის მეცნიერ-თანამშრომელი
7. **მერაბ ხმალაძე.** ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი.
8. **გიორგი წულაძე.** ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი.
9. **თამაზ ზუბიაშვილი.** საქართველოს განათლების სამინისტროს დემოგრაფიისა და სოციოლოგიის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი, თსუ ასოცირებული პროფესორი, თსუ მიგრაციის კვლევის ცენტრის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი, ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი.
10. **ნათია ჭელიძე.** საქართველოს პარლამენტის რეგიონული პოლიტიკის, თვითმმართველობისა და მაღალმთიანი რეგიონების კომიტეტის წამყვანი სპეციალისტი, თსუ მიგრაციის კვლევის ცენტრის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი, ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი.
11. **თინათინ ზურაბიშვილი.** თელავის იაკობ გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი.
12. **თამარ ზურაბიშვილი.** საქართველოს განათლების სამინისტროს დემოგრაფიისა და სოციოლოგიის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი.
13. **ამირან ტაკიძე.** ბათუმის დამოუკიდებელი უნივერსიტეტის რექტორი, ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი.
14. **მზია შელია.** თსუ მიგრაციის კვლევის ცენტრის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი, ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი.

## AUTHORS OF THE COLLECTION

1. ***Mirian Tukhashvili.*** Head of the Labour Economics Chair, Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Doctor of Economic Sciences, professor.
2. ***Irina Molodikova.*** Professor of Central European University (Budapest, Hungary).
3. ***Vladimir Mukomel.*** Senior Research-worker of the Institute of Sociology Academy of Sciences of the Russian Federation, Doctor of Sociological Sciences, Professor.
4. ***Ludmila Tikhonova.*** Professor of the Chair of Management, Faculty of Economics, Belorussian State University, Doctor of Economic Sciences.
5. ***Elena Maslenkova.*** Senior teacher, International University of Labor and Social Relations. Belorussia.
6. ***David Abuladze.*** Member of the International Union of the French-language Press; Research-worker of the Migration Study Center, TSU.
7. ***Merab Khmaladze.*** Professor of Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Doctor of Economic Sciences.
8. ***Giorgi Tsuladze.*** Professor of Ilia Chavchavadze State University, Doctor of Historical Sciences.
9. ***Tamaz Zubiashvili.*** Professor of Tbilisi State University, Doctor of Economic Sciences.
10. ***Natia Chelidze.*** Parliament of Georgia, Regional policy and self-governance committee, Leading Specialist. TSU Migration Research Center, senior scientific coworker. Kandidat of Economic Sciences.
11. ***Tinatin Zurabishvili.*** Professor of Telavi Iakob Gogebashvili State University; Kandidat of Philological Sciences.
12. ***Tamar Zurabishvili.*** Scientific Research-worker of the Institute of Demography and Sociology, Ministry of Education of Georgia.
13. ***Amiran Takidze.*** Rector of Batumi Independent University, Kandidat of Economic Sciences.
14. ***Mzia Sheli.*** Senior research-worker of the Migration Study Center, TSU; Kandidat of Economic Sciences.



## შინაარსი

1. *მირიან ტუხაშვილი* 5  
საქართველოს გარემიგრაციული პრობლემები;
2. *Молодикова И.Н.* 15  
Интеграция мигрантов в Западной Европе в начале XXI века;
3. *Мукомель В.И.* 35  
«Новая миграционная политика» России: надежды и опасения;
4. *Тихонова Л.Е., Масленкова Е.В.* 46  
Основные тенденции формирования процессов трудовой миграции в Республике Беларусь;
5. *დავით აბულაძე* 57  
იმიგრაციული პრობლემები საფრანგეთში XXI საუკუნის დასაწყისში;
6. *მერაბ ხმაღაძე, თამაზ ზუბიაშვილი* 64  
სტუდენტი ახალგაზრდობის გარე სასწავლო-შრომითი ემიგრაცია;
7. *გიორგი წულაძე* 74  
მონაცემები გარე მიგრაციის შესახებ 2004-2005 წწ.: რეალობა თუ ნონსენსი;
8. *ნათია ჭელიძე* 79  
საქართველოში შრომით ემიგრანტთა ფულადი გზავნილების შეფასება;
9. *Тамара Зурабишвили, Тинатин Зурабишвили* 92  
Назначение денежных переводов эмигрантов из Тианети: непродуктивное потребление или инвестиции в производство?;
10. *ამირან ტაკიძე* 103  
აჭარის მოსახლეობის სტაციონარული მიგრაცია: ინტენსივობა და ძირითადი მიმართულებანი;
11. *მზია შელია* 111  
მიგრაციის გავლენა საქართველოს მოსახლეობის აღწარმოებაზე;  
კრებულის ავტორები; 117  
შინაარსი. 119

## CONTENT

1.	<b>Mirian Tukhashvili.</b> External Migration Problems of Georgia;	5
2.	<b>Irina Molodikova.</b> Integration of Migrants in Western Europe in the beginning of XXI century;	15
3.	<b>Vladimir Mukomel.</b> New Migration Policy of Russia: Hopes and Apprehensions;	35
4.	<b>Liudmila Tixonova, Elena Maslenkova.</b> The basic tendencies of formation of labour migration processes in Belarus;	46
5.	<b>David Abuladze.</b> Immigration Problems in France at the Beginning of the XXI Century;	57
6.	<b>Merab Khmaladze, Tamaz Zubiashvili.</b> External educational and labor emigration of students and youth;	64
7.	<b>Giorgi Tsuladze.</b> The data on international migration in 2004-2005 Reality or nonsense;	74
8.	<b>Natia Chelidze.</b> Estimation of Labour Emigrants remittances in Georgia;	79
9.	<b>Tamar Zurabishvili, Tinatin Zurabisgvili.</b> Role of remittances of labor emigrants from Tianeti: Consumption vs. investments?;	92
10.	<b>Amiran Takidze.</b> Stationary migration of population in Ajara: Intensity and main directions;	103
11.	<b>Mzia Shelia.</b> Impact of Migration on Population Reproduction in Georgia;	111
	<b>AUTHORS OF THE COLLECTION;</b>	117
	<b>CONTENT.</b>	119



გამომცემლობა «უნივერსალი»

თბილისი, 0179, ი. ჭავჭავაძის გამზ. 19,

ტელ.: 223609, 8(99)172230.

E-mail: universal@internet.ge